სამწყსო

№7(199)
ივლისი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

გილოცავთ!



,,პიპარლამენტოთ“

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო ნამდვილად გამოირჩევა თავისი გამალებული მშენებლობების კურსით: იგება გზები, იდება ხიდები, კეთდება კარგად მოწყობილი მოედნები, შადრევნები, შენდება სასტუმროები, ბინები, საავადმყოფოები, სკოლები, ეკლესიები... და, აი, 26 მაისს, ქუთაისში, საზეიმო აღლუმის დროს, გაიხსნა ახალი პარლამენტი; თავისი სივრცით ნაგებობა უბრალო და მრავალფუნქციურია, ამფითეატრის ფორმის, დიდი, ტრადიციული დარბაზით, მკაცრი კონტურებით; იგი შემინულია, მინა აქ წამყვანი არქიტექტურული მასალა გახლავთ. შენობა ისეა გართხმული დიდ, მწვანე მოლზე, გეგონება მიწაზე ახლახანს დაეშვაო, თითქოს სურს, განმუხტოს ის დაძაბული ატმოსფერო, რაც შეიძლება მის შიგნით სუფევდეს (გავიხსენოთ თუნდაც 2005 წლის 1 ივლისის სხდომა); ნაგებობა გამჭვირვალეა, – უკანასკელი პერიოდის მრავალი შენობის მსგავსად, – რაც ყველას მოუწოდებს გამჭვირვალობისკენ (ამ სიტყვამ მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა გორბაჩოვის ,,პერესტროკიდან“ მოყოლებული); ნაგებობა დიდ, გაშლილ კარავსაც ჰგავს, მაგრამ ის ცის თაღს უფრო მოგვაგონებს, სადაც სიტყვა სრულყოფილად გახმიანდება და მეტი ასპარეზი მიეცემა მას. პარლამენტი ხომ ეტიმოლოგიურადაც ამას ნიშნავს: მისცე მეტი სივრცე სიტყვას. მაგრამ რომელ სიტყვას, ვის სიტყვას?... ადამიანი თავისი სიტყვით ფასდება, წერდა გასულ საუკუნეში მამა ლორენცო, კათოლიკე მღვდელი, რომელიც აქტიური და უახლესი მეთოდით ცდილობდა, თავის პატარა საკრებულოს ბავშვებისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა. სიტყვა „პარლამენტი“ გვახსენებს ასევე კულტურული ანთროპოლოგიის საერთო ხასიათს, სადაც ერთი კოლეგიალური ინსტიტუტი შუამავლის როლს ასრულებს ხალხსა და მის წარმომადგენლებს შორის, როგორც ამას მოწმობს ბერძნული poleis (ასამბლეა) და Senato Romano (რომაული სენატი). პარლამენტის პირველი ჩანასახი ისლანდიაში ჩნდება 930 წელს. აქედან მოყოლებული, პარლამენტი შეიძლება მრავალნაირად მოვიხსენიოთ: როგორც პატარა სასოფლო საკრებულოების მრჩეველი, როგორც ესპანური კორტეჟი, ან საფრანგეთის გენერალური შტატები, ანდა გერმანული ბუნდესტაგი ან კიდევ ინგლისური პარლამენტი (1248), თავისი ლორდთა პალატით, – ყველა დანარჩენი საპარლამენტო გამოცდილების მოდელი.

საინტერესოა იმის გახსენება, რომ 1115 წელს, Magna Charta (თავისუფლების დიდი ქარტია), დიდი ქარტიის მიღებამდე ზუსტად ერთი საუკუნით ადრე, cistercensenis ბერები შეუდგნენ Charta Charitatis (საქველმოქმედო ქარტია) შემუშავებას, რითაც აბატების Parlamentum-ს ანიჭებდნენ მათი ორდენის უმაღლესი ხელისუფლების, summa potestas-ის ფუნქციას. დროთა მსვლელობაში პარლამენტი დაიხვეწა და გაიზარდა მისი კომპეტენციაც. დღეს უკვე მას აქვს პოლიტიკური, საკანონმდებლო, საკოორდინაციო, კონტროლისა და საკონსტიტუციო გარანტიის ფუნქცია. თანამედროვე პარლამენტი შეიძლება ორ დიდ კატეგორიად დაიყოს: ისინი, რომლებიც ძირითად პოლიტიკურ ძალაუფლებას გადმოსცემენ, რამდენადაც გამოხატავენ თავისუფალ და პლურალისტულ საზოგადოებას, და დეკორატიული, რაც დამახასიათებელია ავტორიტარული, ან ერთპარტიული რეჟიმებისთვის. დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტში შიდა ორგანიზაცია ძალზე კომპლექსური და ცოცხალია: წამყვანი როლი აკისრია კომისიების მიერ განხორციელებულ კონტროლს. კომისიების მიერ წარმოებული კორექტული სამუშაოები უნდა დაეხმაროს უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთკავშირს.

თუკი საქართველოს ახალ პარლამენტს, – რომლის არქიტექტორიც გახლდათ ა. დომინგო და კ. ლაზარო, და ცნობილი იაპონელი ინჟინერი მ. კაუაგუკი, – პრეტენზია აქვს, რომ მისი გარეგნული იერსახე მეტყველებდეს ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე დიდ ცვლილებებზე (პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმ დღეს ხაზგასმით ისაუბრა დეცენტრალიზაციის მნიშვნელობაზე), მაშინ, ამავე დროს, ახალი პარლამენტი მზად უნდა იყოს ხალხის სამართლიან

მოთხოვნათა მისაღებად, რომელიც ამ ადგილზე თავის წარმომადგენლებს გზავნის. თუკი სიტყვა სივრცეში უნდა გახმიანდეს, შემდეგ ეს სიტყვა საქმეებში არ უნდა დაიკარგოს; დღევანდელ მსოფლიოში, რომელიც უფრო და უფრო აცხადებს პრეტენზიას „დემოკრატიულობაზე“, მძიმე კრიზისს განიცდის წარმომადგენლობითი სტრუქტურა, რადგანაც ის ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და აქვე, არ არსებობს სივრცე, რომელიც ხორცს შეასხამდა პარლამენტის მუშაობაში ხალხის პირდაპირ მონაწილეობას.

იმ საზოგადოებაზე, რომლის ხელისუფლება სხვა შენობაში ზის, ჯერ კიდევ ლენინი წერდა 1919 წელს, რომ „კაპიტალის ძალა ყველაფერია, ბირჟა ყველაფერია, ხოლო პარლამენტი და არჩევნები მარიონეტული თოჯინების თამაშია“, რომ აღარაფერი ვთქვათ „პარლამენტის კრეტინიზმის“ შესახებ მის დამამცირებელ მსჯელობაზე მარქსთან და ენგელსთან; მთავარია, უკეთ გავიგოთ პარლამენტის მნიშვნელობა, რომლის პრინციპიც ხალხის უზენაესობაა. მხოლოდ მაშინ, როდესაც პარლამენტი ასრულებს ერის სარკის ფუნქციას, მას შეუძლია გახდეს და ხდება ერის პოლიტიკური ორიენტაციისა და ცხოვრების მოწყობის ცენტრი, რომელიც გამორიცხავს, ან უნდა გამორიცხოს ჩაგვრა, ძალისმიერი მეთოდები, რევოლუციები. პარლამენტი ცენტრალურ ადგილს იკავებს პოლიტიკურ სისტემაში, ვინაიდან სწორედ მასში, და არსად სხვაგან, არ არის ასე თვალშისაცემი საზოგადოება, მთელი თავისი კომპლექსურობით, შემდგარი პარტიებით, ორგანიზაციებით, ალიანსებით. *პარლამენტი ცენტრალურია, ვინაიდან მასში ცხადდება და თვალსაჩინო ხდება ხალხის უზენაესობა.*

როდესაც 1999 წლის 14 დეკემბერს საზეიმოდ გაიხსნა კიდევ ერთი პარლამენტი – სტრასბურგის ევროპარლამენტი, მისმა სტრუქტურამ დიდი აჟიოტაჟი და კითხვები გამოიწვია. ლუის ვეისის (Louse Weiss) ნაგებობა, თავისი მოდერნისტული და დაუსრულებელი ფორმით, ყველას მოგვაგონებს „ბაბილონის გოდოლის“ ცნობილ სურათს, რომელიც 1563 წელს დახატა პიტერ ბრეიგელმა. მას, ვინც კითხულობს, თუ რატომ აქვს ევროპის პარლამენტს დაუსრულებელი სახე, მისმა შემქმნელებმა უპასუხეს, რომ იგი „ევროპის დაუსრულებელ ბუნებას“ გამოხატავს. პასუხი შეიძლება დამაჯერებელიც კი იყოს, მათ პასუხებთან შედარებით, ვინც ფიქრობდა, რომ ეს ნაგებობა ერთგვარი გაგრძელებაა იმ საქმისა, რაც შეწყვიტა *ნუმრუდმა*, სახელგატეხილმა ტირანმა, რომელიც ღმერთის გამოსაწვევად აგებდა ბაბილონის გოდოლს, რასაც ამტკიცებს ანტიკური კულტურის მრავალი ტექსტი, გარდა ებრაულისა.

ახალი პარლამენტი ერთგვარი ფსონია, რაც იდება ქვეყნის დემოკრატიული სტრუქტურებისადმი რწმენის გამოსაწვევად, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სურთ დემოკრატიის გაძლიერება... და, როგორც ამბობენ, მიმართავენ ძალას, დაშინებას, სამსახურიდან გათავისუფლებას (რადგანაც ვიღაცამ მონაწილეობა მიიღო ოპოზიციონერთა გამოსვლაში); ის, ვინც ამ ახალ ნაგებობაში პარლამენტარის მაგიდას მიუჯდება, შეძლებს ნამდვილად დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების შექმნაში თავისი ნების სრულად გამოხატვას?

ფილოსოფოსი კანტი (1724-1804) წერდა: „თუკი სამართალი კვდება, მაშინ დედამიწაზე ადამიანის ცხოვრებას აზრი არა აქვს“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ამა წლის ივნისში...

ნიგერია. 17 ივნისს, „ბოკო ჰარამის“ მიერ კადუნასა და ზარიას ქრისტიანულ ტაძრებში განხორციელებული ტერაქტების შედეგად, ორმოცდაათი მორწმუნე დაიღუპა. „ტერაქტები თავისთავად შემზარავია, მაგრამ კიდევ უფრო საშინელია ის, რომ თავდასხმები უფრო ხშირად კვირადღეს ხორციელდება. დევნა და დაძაბულობა საზიანოა არა მხოლოდ ქრისტიანთათვის, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის, რომელსაც მშვიდობიანი არსებობა სურს“, – აღნიშნა წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდიმ. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ (Organisation of Islamic Cooperation) დაგმო 17 ივნისს განხორციელებული ძალადობის აქტი. „სიწმიდეთა დარბევასა და უბრალო მორწმუნეთა მიმართ ძალადობას არც ერთ რელიგიაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი“, – განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ეკმელედინ იჰსანოღლუმ.

ვიეტნამი. პროვინცია კაობანგის ერთ-ერთი სოფლის თავის გადაწყვეტილებით თემიდან სამი ქრისტიანული ოჯახი განიდევნა. იგივე ბედი ეწია ტაი-ნგუენის პროვინციის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრ ქრისტიანებსაც. ამგვარად თემთა მეთაურები ქრისტიანთაგან თავიანთი ტერიტორიების გათავისუფლებას ცდილობენ.

ინდოეთი. ჩჰატისგარჰის შტატში, ბასტარის ოლქში, ხელკეტებითა და დანებით შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა ადგილობრივი ქრისტიანული თემის მეთაურის ქალიშვილის დამკრძალავ პროცესიას. შეურაცხმყოფელი შეძახილებით, ბრბომ პროცესია სასაფლაომდე მიაცილა, იქ კი მგლოვიარეებს თავს დაესხა და მიცვალებულის დაკრძალვის საშუალება არ მისცა. გარდაცვლილი გოგონას მამამ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში საჩივარი შეიტანა. რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან ამ დრომდე არ ყოფილა.

ინდონეზია. ხელისუფლების განკარგულებით აჩეჰ-სინგქილის ოლქში დაიხურა 20 ქრიატიანული ტაძარი. უახლოეს დროში დაგეგმილია ამ ტაძრების სრული დემონტაჟი. „ტაძრების დახურვა და ნგრევა აჩეჰში, ეკლესიათა და ქრისტიანულ სამლოცველოთა ხშირი დარბევები კუნძულ იავაზე და ინდონეზიის სხვა კუთხეებში, ქვეყანაში მზარდ რელიგიურ შეუწყნარებლობაზე მიუთითებს“, – აღნიშნავს მსოფლიო ქრისტიანული სოლიდარობის (Christian Solidarity Worldwide) აქტივისტი ენდრიუ ჯონსტონი. როგორც აღნიშნავს კათოლიკე მღვდელი მარკუს მანურანგი, სუმატრაზეც ხშირია რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, რომლის მსხვერპლნი სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანები ხდებიან. ზოგიერთ დასახლებაში მათ ღმრთისმსახურებაც კი ეკრძალებათ.

ტანზანია. კუნძულ ზანზიბარის ქრისტიანები ამაოდ ცდილობენ სამართლის აღდგენას: ადგილობრივი სამართალდამცავები არავითარ ზომებს არ იღებენ სამლოცველოთა დანგრევის ფაქტების გამოძიებისათვის. ადგილობრივ ქრისტიანულ თემთა მეთაურები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება განგებ ხუჭავს თვალს ქრისტიანთა დარბევებისა და სამლოცველოების დაწვა-დანგრევის ფაქტებზე.

ეგვიპტის პრეზიდენტი კათოლიკე ეპისკოპოსებს შეხვდა

27 ივნისს, ეგვიპტის ახლად არჩეული პრეზიდენტი, მუჰამედ მურსი ქვეყნის კათოლიკე მღვდელმთავრებს შეხვდა.

„კარგი ნიშანია, რომ შეხვედრა თავად პრეზიდენტის ინიციატივით შედგა. მას სურდა, პირადად შეხვედროდა მღვდელმთავრებს, რათა თანამშრომლობისთვის მზაობა გამოეჩინა“, – აღნიშნა ეგვიპტის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეს-მდივანმა მამა რაფიკ გრეიხმა.

საარჩევნო კამპანიის დროს, მუჰამედ მურსიმ არაერთხელ აღნიშნა, რომ სურს გახდეს „პრეზიდენტი ყველა ეგვიპტელისთვის“ და არა მხოლოდ მუსლიმთათვის.

ოკეანედან ოკეანემდე

14 ივნისს დაიწყო 18 ქვეყნის კათოლიკე და მართლმადიდებელ მორწმუნეთა ერთობლივი მსვლელობა ჩესტოხოვის ღმრთისმშობლის ხატით. ეს ზუსტი ასლია იმ ხატისა, რომლის მოსალოცად მრავალი მორწმუნე ჩესტოხოვში, იასნა გორას მონასტერში მიდის. „ოკეანედან ოკეანემდე“ მსვლელობა სიცოცხლისა და ოჯახის დასაცავად სრულდება. 18 000 კილომეტრიანი მარშრუტი, რომელიც ვლადივოსტოკში დაიწყო და ფატიმაში დასრულდება, 23 ქვეყანას მოიცავს: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, სლოვენია, ხორვატია, იტალია, ავსტრია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, გერმანია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია. ფატიმაში მისვლას ორგანიზატორები შობისთვის გეგმავენ. მსვლელობის ერთ-ერთმა კოორდინატორმა, ორგანიზაციის Human Life International პოლონეთის განყოფილების დირექტორმა ევა კოვალევსკამ აღნიშნა, რომ 2013 წელს იგეგმება ჩესტოხოვის ხატის გადატანა აშშ-ში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. „უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ მოვლენამ კათოლიკე და მართლმადიდებელი მორწმუნეები გააერთიანა. მსვლელობის მანძილზე ხატი როგორც კათოლიკურ, ასევე მართლმადიდებლურ ტაძრებში განთავსდება“.

რომის კატაკომბების რესტავრაციას ჰეიდარ ალიევის ფონდი დააფინანსებს

22 ივნისს რომში წმიდა საყდარსა და ჰეიდარ ალიევის ფონდს შორის შედგა შეთანხმება ქრისტიანული სიწმიდისა და რომის ისტორიული ძეგლის, პეტრესა და მარცელინოს III საუკუნის კატაკომბების რესტავრაციის შესახებ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს წმიდა არქეოლოგიის პონტიფიკალური კომისიის თავმჯდომარემ კარდინალმა ჯანფრანკო რავაზიმ და აზერბაიჯანის პირველმა ლედიმ, ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტმა მეჰრიბან ალიევამ.

„ქვეყანამ, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმია, გულუხვი მზაობა გამოიჩინა. ეს გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. იგი ხელს შეუწყობს ინტერკულტურულ ურთიერთობებს და გააღრმავებს რელიგიათა შორის დიალოგს“, – აღნიშნა კარდინალმა.

კულტურის პონტიფიკალური საბჭოს ახალი განყოფილება

14 ივნისს გაიმართა კულტურის ახალი განყოფილების, – „კულტურა და სპორტი“, – პრეზენტაცია. საბჭოს თავმჯდომარემ კარდინალმა ჯანფრანკო რავაზიმ აღნიშნა, რომ სტრუქტურის მიზანი სპორტის ფენომენისადმი ახლებური მიდგომის შემუშავებაა: სპორტი ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, სადაც უნდა წარიმართოს დიალოგი ეკლესიასა და კულტურას, ეკლესიასა და ახალგაზრდობას, ასევე მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შორის. „მანამ, სანამ შევუდგებით დიალოგს სპორტის სამყაროსთან, უნდა გავიცნოთ იგი. ეკლესიამ უნდა გაიგოს სპორტის სამყაროს მისწრაფებები და ეძიოს დიალოგის გზები მის გმირებთან.

წმიდა საყდარი ბოშათა ინტეგრაციისთვის ზრუნავს

19 ივნისს უნგრეთის ქალაქ ეგერში, უნგრეთის ეპისკოპოსთა კონფერენციის ინიციატივითა და ორგანიზაციის Renovabis-ის ხელშეწყობით, გაიმართა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ევროპაში ბოშათა ინტეგრაციის პრობლემას მიეძღვნა. „ბოშათა უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, წყალგაყვანილობისა და ელექტრომომარაგების გარეშე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობაა. სიცოცხლის დონის ამაღლებისთვის ბოშებს ევროპის ქვეყნების დახმარება სჭირდებათ. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ და პატივი უნდა ვცეთ მათ კულტურულ თავისებურებებსა და ტრადიციებს. ინტეგრაციის პროცესი თითოეული მათგანის ღირსებისა და უფლებათა აღიარებას გულისხმობს“, – აღნიშნა ემიგრანტთა და მოგზაურთათვის ზრუნვის პონტიფიკალური საბჭოს წარმომადგენელმა მამა გაბრიელე ბენტოლიომ.

მომავალი შიმშილის გარეშე

1-2 ივნისს, ვენაში საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის Caritas Internationalis ინიციატივით, გაიმართა კონფერენცია „მომავალი შიმშილის გარეშე“. „შიმშილს საფუძვლად სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები უდევს. ჩვენ ვთხოვთ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს, მოახდინონ ძალთა მობილიზაცია მსოფლიოში შიმშილის პრობლემის გადაწყვეტისთვის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველ 12 წამში მსოფლიოში შიმშილისგან ბავშვი კვდება“, – განაცხადა ჰონდურასის კარდინალმა როდრიგეს მარადიაგამ.

დედოფლობის 60 წელიწადი

60 წლის წინ, 1953 წლის 2 ივნისს, ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის აღსაყდრების ცერემონია. თავის საგანგებო წერილში უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ ელისაბედ II წარმოადგენს „თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპების ერთგულების მაგალითს“. ბენედიქტე XVI-მ გაიხსენა თავისი 2010 წლის ვიზიტი დედოფლის ედინბურგის რეზიდენციაში და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მასპინძლობისთვის.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

დაუვიწყარი და შთამბეჭდავი დღე წეროვანში

16 ივნისი მართლაც დაუვიწყარ დღედ დარჩება ყველასათვის, ვინც წეროვანში მეუფე ჯუზეპეს ინიციატივით მოწყობილ შეხვედრასა და მსახურებაში მიიღო მონაწილეობა. წლევანდელი წელი განსაკუთრებულად მნიშნელოვანია საქართველოში მოღვაწე ექვსი მღვდელმსახურისათვის. მათ, მართალია, სხვადასხვა დღეს, მაგრამ ამ წელს შეუსრულდათ ხელდასხმის საიუბილეო თარიღი და ეპისკოპოსის სურვილით გადაწყდა, წეროვანში საკრებულოებს ერთად აღენიშნათ ეს თარიღი.

მამა ანდრეი იანიცკი 1987 წელს ჩამოვიდა თბილისში. იმხანად სემინარია ახალი დამთავრებული ჰქონდა და, მამა იან სნეჟინსკის მოწვევითა და საქართველოს ხელისუფლების ნებართვით, ჯერ რამდენიმე თვე თბილისში, შემდეგ კი სხვილისში მსახურობდა მამა იოსებ კორნაშევსკისთან ვიკარიუსად. როდესაც ხელისუფლებისა და პატრიარქ ილია II-ის შუამდგომლობით რეგისტრაციაში გატარდა ახალქალაქის რ-ნის სოფ. ტურცხის კათოლიკური ეკლესია, მამა ანდრეი წინამძღვრად გადაიყვანეს და 24 წელია, იქ ეწევა მსახურებას. **მამა ანატოლიც** ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოვიდა საქართველოში და ახალციხის წყალთბილას ახლად გახსნილ ეკლესიაში დაიწყო მსახურება. მათ სულ მალე შესანიშნავად შეისწავლეს სომხური ენა, სომხურ წესზე გადავიდნენ და ადგილობრივი მრევლის დიდი სიყვარული დაიმსახურეს. სწორედ მამა ანდრეისა და მამა ანატოლის უდიდესი დამსახურებაა, რომ, 50-წლიანი ინტერვალის შემდეგ, აღდგა სომხური კათოლიკური წესის ეკლესია საქართველოში.

მამა ადამ ოხალს სპეციალური წარდგენა არ სჭირდება. თავისი 35-წლიანი სამღვდელო მსახურებიდან 20 წელი თბილისში გაატარა, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვრად. მისი უშუალო მონაწილეობით, მსახურებითა და ფიზიკური შრომით აღდგა გორისა და ახალხიზის საკრებულოები ქართლში. ასევე, კახეთის ხუთივე საკრებულოს მისი უდიდესი ამაგი ატყვია. მამა ადამი არის ნეოკატეხუმენური საკრებულოს ხუცესიც.

მამა ანჟეი გრაჩეკსაც არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. მან მეოთხედი საუკუნის წინ მიიღო ხელდასხმა პოლონეთში და 14 წელია საქართველოში მსახურობს. ბოლო რამდენიმე წელია, თბილისის კათედრალის წინამძღვარია და თან ნეოკატეხუმენური საკრებულოს ხუცესი.

მამა პიერ დიუმულენი ათ წელზე მეტია, რაც საქართველოში მოღვაწეობს, ეწევა როგორც ღვთისმსახურებას, ასევე ფართო აღმზრდელობით საქმიანობას. ძნელია მისი ღვაწლის ასე მოკლედ შეფასება, მაგრამ რასაც აკეთებს, ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მორწმუნეთა ფორმაციისათვის. იგი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორია. პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა რამდენიმე ქვეყნის სემინარიაში. ერთ-ერთი ცნობილი ეგზეგეტია და, საქართველოში ყოფნის დროს, თბილისში, ქუთაისსა და ახალციხეში ბიბლიის შემსწავლელ კურსებს უძღვება. არის სულხან-საბა ორბელიანის საგანმანათლებლო საზოგადოების დამფუძნებელი და ხელმძღვანელი და მრავალი სასიკეთო წამოწყების სულისჩამდგმელი. მისი აქტიური დახმარებით 2005 წლიდან თბილისში ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმები რელიგიათმცოდნეობასა და ბიოეთიკაში. და მოკლედ თუ ვიტყვით, მამა პიერი ყველასათვის ძალზე, ძალზე საყვარელი ადამიანია.

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მთავარეპისკოპოსი **მარეკ (მარკოზი) სოლჩინსკი** 2012 წლიდან ვატიკანის სრულუფლებიანი დესპანია საქართველოში. უშუალო დიპლომატიური საქმიანობის გარდა, ცდილობს, ადგილობრივი კათოლიკური საკრებულოების ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა და, საჭიროების შემთხვევაში, აქტიური მხარდაჭერაც აღმოუჩინოს.

წეროვანში დღის 12 საათისათვის ღია საკურთხევლის ირგვლივ შეკრებილ საქართველოს სხვადასხვა საკრებულოების წარმომადგენლებს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ მიმართა მოკლე წარდგინებით. შემდგომ უკვე მთავარეპისკოპოსმა მარეკმა და მასთან თანაზიარებაში შეკრებილმა სამღვდელო დასმა წმინდა წირვა აღავლინა. ქადაგებისას (იხ. ქვემოთ) მეუფე ჯუზეპემ შეკრებილ მრევლს მოკლედ გააცნო ამ ექვსი იუბილარი მღვდელმსახურის ღვაწლი და ისაუბრა მათი მოწოდების მნიშვნელობაზე. წირვის დასრულების შემდეგ, ეპისკოპოსმა და საკრებულოების წარმომადგენლებმა მიულოცეს თავიანთ სულიერ მამებს ხელდასხმის საიუბილეო თარიღი, კათედრალის ახალგაზრდებმა იუბილართა პატივსაცემად პოლონური, ფრანგული სიმღერები და ცეკვები წარმოადგინეს. შემდგომ ეპისკოპოსმა ყველანი ღია ცის ქვეშ სადღესასწაულო ტრაპეზზე მიიწვია. ტრაპეზის დასრულებით არ დამთავრებულა ღონისძიება. კათედრალის ახალგაზრდებმა ახლა უკვე საბავშვო თოჯინების წარმოდგენა შემოგვთავაზეს. ბოლოს კი ეპისკოპოსმა, მისთვის ჩვეული თბილი იუმორით, იუბილარებს სთხოვა, საჯაროდ ეპასუხათ ქადაგების დროს დასმულ კითხვაზე: გაეხსენებინათ, თუ რამ განაპირობა მათი მოწოდება... მსმენელისათვის მართლაც საინტერესო და შთამბეჭდავი იყო მამების მიერ გახსენებული სიჭაბუკის წლები და ფაქტები, რამაც უბიძგა მათ სამღვდელო სამსახურისაკენ.

მაგალითად, მთავარეპისკოპოსი მარეკი ახალგაზრდობისას საქველმოქმედო სამსახურით იყო დაკავებული სამრევლოში, შემდეგ სასულიერო სემინარია დაასრულა და სამი წელი ვიკარიუსად მსახურობდა, მისი მოძღვრის რჩევით, ვატიკანში დიპლომატიურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა და უკვე წლების მანძილზე სხვადასხვა ქვეყანაში უხდება წმინდა საყდრის სადესპანოებში სამსახური.

მრავალშვილიან ოჯახში დაბადებულმა მამა ადამმა, პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის დროს, სარისკო საქმიანობა, მღვდელმსახურება აირჩია და, ათიოდე წლის შემდეგ, მისთვის უცხო მხარეში მოუწია გამგზავრება.

მამა ანჟეი ჯერ ინჟინრობას აპირებდა, დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ნეოკატეხუმენურ გზაზე ყოფნა დაეხმარა, ეპოვა თავისი მოწოდება.

მამა პიერი თავდაპირველად ექიმობაზე ოცნებობდა. ერთი წელი კიდეც სწავლობდა სამედიცინო სასწავლებელში, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ფიზიკურ განკურნებაზე მეტად სულიერი განკურნება იყო აუცილებელი ადამიანებისთვის...

მართლაც ძალზე შთამბეჭდავი იყო იუბილარი მამების მოგონებები და ალბათ, იქ მყოფი ახალგაზრდების მოწოდებაზე გარკვეულ წარუშლელ კვალს დატოვებს.

ჩვენ კი, ამ საიუბილეო მსახურების მონაწილეებს, დიდხანს გაგვყვება მეუფე ჯუზეპეს მიერ ორგანიზებული ლამაზი და თბილი შეხვედრის შთაბეჭდილება და ის გამოცდილება, თუ როგორ უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს სიკეთე და სიხარული.

ნუგზარ ბარდაველიძე

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო (ქადაგება)

თქვენო უწმინდესობავ, მამა მარეკ და ძვირფასნო მღვდელმსახურნო: მამა ანდრეი, მამა პიერ, მამა ადამ, მამა ანდრეი და მამა ანატოლი, მოხარული ვარ, რომ თქვენს გვერდით ვიმყოფები, რათა ღმერთს მადლობა შევწირო თქვენი მღვდლობისათვის. თქვენთან ერთად, კიდევ ერთხელ „ავწევთ ხსნის ბარძიმს და მოვუხმობთ უფლის სახელს“, როგორც არაერთხელ გაგვიკეთებია ამ წლების მანძილზე. თქვენთან ერთად ვიგალობებთ მარიამის სადიდებელს: „ადიდებს სული ჩემი უფალსა... დიდი საქმე მიყო ყოვლადძლიერმა, წმიდაა სახელი მისი“. სწორედ ეს არის ჩვენი დღევანდელი ევქარისტიული მსახურებისა და ერთად შეკრების მიზეზი.

თქვენთან ერთად აქ ყოფნა ყველა ჩვენგანისთვის სიყვარულის გამოხატულებაა. გვიყვარხართ და უფლის მადლიერნი ვართ იმისათვის, რომ ჩვენი მღვდელმსახურები ხართ, რადგანაც ღმერთისთვის თქვენი სიცოცხლის მიძღვნით, თქვენ ის ჩვენც მოგვიძღვენით! მადლიერნი ვართ უფლისა, რომ ჩვენთან მოგავლინათ მოძღვრებად. თქვენდამი მადლიერებასა და სიყვარულს გამოხატავენ ისინიც, ვინც დღეს აქ მოსვლა ვერ შეძლო.

ჩვენ არ ვიცით, როგორ დაიწყო თქვენი სამღვდელმსახურებო ისტორია, არ ვიცით, რა მოხდა თქვენს გულებში მრავალი წლის წინ... მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ რაღაც დიადი მოხდა! თქვენი ცხოვრების რაღაც მომენტში იესომ პირადად გითხრათ: „ამათზე მეტად გიყვარვარ? მწყემსე ჩემი ცხვრები!“

თქვენო უწმინდესობავ, გახსოვთ, როდის გითხრათ იესომ ეს ფრაზა: „ამათზე მეტად გიყვარვარ?“ მამა პიერ, შენ სად იყავი იმ დღეს? მამა ანდრეი, შენ ელოდი ამ მოხმობას? მამა ადამ, მამა ანატოლი, რა გაიფიქრეთ, როცა გაიგონეთ: „მომყევი, მწყემსე ჩემი ცხვრები“?

ერთი სიტყვით, ცხადია, თითოეულ თქვენგანს განსხვავებული ისტორია აქვს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველა ეს ისტორია მსგავსი თარგით წარიმართა, ყოველ მათგანს ახასიათებდა ხანგრძლივი ძიება, მოლოდინი, ეჭვები, სრულიად წარმოუდგენელი მოულოდნელობები. მაგრამ, ალბათ, იტყვით: „ერთერთი დღე იყო, სხვების მსგავსი. და იმ დღეს ის მოვიდა და მომიხმო.“ იმ დღეს მან აგაღელვათ, გული აგიჩქარათ, როცა პირისპირ წარსდგა თქვენს წინაშე და გაგაოგნათ მწვავე შეკითხვით: „მარეკ, ანდრეი, პიერ, ადამ, ანდრეი, ანატოლი... გიყვარვარ?“

იესოს ეს მოხმობა შემდეგ ეკლესიის მოხმობად იქცა, რომელიც გვერდში გედგათ მომზადების პროცესში და რომელმაც მიგიყვანათ თქვენი ხელდასხმის დღემდე, როცა ეპისკოპოსისადმი ნათქვამი თქვენი „დიახ, მსურს“, ხელდასხმის ძალით, „წარგზავნად და მისიად“ იქცა. ეკლესიამ ნდობით მიგავლინა თქვენ.

თქვენი ამ საიუბილეო თარიღის სახსოვრად, მსურს, რამდენიმე სიტყვა მოგიძღვნათ სახარებიდან, რომელიც ახლა მოვისმინეთ:

1. პირველი სიტყვაა „დარჩენა“: ერთგულება. „ვინც ჩემში დარჩება, ხოლო მე – მასში, ბევრ ნაყოფს გამოიღებს“. ტექსტის ამ ფრაგმენტში სიტყვა „დარჩენა“ შვიდჯერ გვხვდება, ხოლო იმ დღიდან, როცა ანდრია და იოანე იესოს იორდანეს ნაპირზე შეხვდნენ („და მთელ დღეს მასთან დარჩნენ“), – „დარჩენა“ განსაკუთრებული ზმნაა, რომელიც გასდევს იესოსა და მისიანებს შორის დამყარებულ სასიცოცხლო კავშირს და მოგვითხრობს მის შესახებ. და ამიერიდან და სამუდამოდ ყველაფერი დამოკიდებულია ამ შინაგან და ურთიერთდამოკიდებულ კუთვნილებაზე: იესო უნდა დარჩეს მოწაფეებში, მოწაფეები – იესოში, ყველა ერთად კი მამა ღმერთის კალთაში უნდა დარჩეს.

ხალხთა მოციქულის სიტყვებით თუ ვიტყვით, იოანესეული „დარჩენა“ შეიძლება ვთარგმნოთ პავლესეული ტერმინით „სარწმუნო“, ანუ ერთგული: „და უფრო მეტიც, მნეთა შორის ეძებენ, რომ აღმოჩნდეს სარწმუნო ვინმე“ (1კორ. 4,2). მოწაფისა და, უფრო მეტად, მოძღვრის ერთგულება არ არის სიჯიუტე, კეთილშობილური პრინციპების თავდადებული დაცვა, ან სიძნელეების, გამოცდებისა და საშიშროების წინაშე სტოიკური სიმტკიცით დგომა. ეს მამა ღმერთის იდუმალებით მოცული ჩანაფიქრის სიყვარულით აღსავსე, წვალებით მიღწეული მიღებაა. მოციქულის სიდიადის საზომი განსაცვიფრებელი გენიალურობა, მჩქეფარე შემოქმედებითობა, ან დაუოკებელი აქტივობა კი არ არის, არამედ მოწაფის მადლიერი, მშვიდი, დაუღალავი მონდომება. ეს არის ერთგულება დღიდან დღემდე!

ძვირფასო ძმებო, სიცოცხლის მიწურულს არ გკითხავენ, ტაძრის სახურავიდან გადმოხტომით თუ განაცვიფრეთ მაყურებელი, ან სასწაულებრივად თუ გარდაქმენით ოქროდ ქვა. თქვენ გკითხავენ, იყავით თუ არა ერთგულნი – განიცადეთ თუ არა მრავალი სათნოების ეს პირმშო. თქვენ გკითხავენ, სადაგ დღეებში აქციეთ თუ არა ის: მიცემული სიტყვისადმი ერთგულებად, სიმტკიცედ განსაცდელში, მოთმინებად წინააღმდეგობისას, ურყეობად ყოველდღიურ მსახურებაში, დაუღლელ გულუხვობად, თქვენი მორწმუნეებისათვის ღმერთისადმი ლოცვაში გატარებულ დროდ. თავის სამწყსო წერილებში წმ. პავლე მრავალგზის ჩამოთვლის ამ სათნოებებს და გვირჩევს, მსახურებისათვის არჩეულებში დავაკვირდეთ მათ.

2. მეორე სიტყვაა ძმობა. „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე მიყვარხართ“, – ეს იესოს ახალი მცნებაა. ძმური სიყვარული ყველაზე მკაფიო და უდავო საბუთია, რომლის მოტანაც შეუძლია მწყემსს თავისი მსახურების უეჭველობის სასარგებლოდ. ვაზის ერთი ყლორტი ვერ მოითხოვს ექსკლუზიურ უფლებას წვენზე, რომელსაც ვაზისგან იღებს. ყველა ყლორტი იგივე წვენით საზრდოობს. ყლორტს არ მოეთხოვება, იყოს ერთადერთი, ყველაზე მშვენიერი ან ძლიერი, მას მოეთხოვება ერთგულება: ის ყველა სხვა ყლორტთან ერთად არის დაკავშირებული ვაზთან. ხოლო სახარების ყველა მსახურის ძმობა, მათ ეპისკოპოსთან ერთად, ბუნდოვანი და უსაგნო გრძნობა როდია: ეს არის „საიდუმლოებებზე დაყრდნობილი შინაგანი ძმობა“ (PO, 8). ეს არის ეკლესიის დამმოწმებელი ძალა! მისი შედეგი ცხადია: წმ. გრიგოლ დიდი წერს: „ვისაც ძმური სიყვარულის გამოცდილება არა აქვს, სახარების გაცხადება არ უნდა გაბედოს“ (ქადაგებები, 17, 1-3).

ძვირფასო ძმებო, თუმცა, კარგად მოგეხსენებათ ეს, რადგანაც ამ წლების მანძილზე ისწავლეთ, მაგრამ არასდროს დაივიწყოთ: პირველი ნიჭი, რომელსაც საქართველოში ადამიანებს, ან კათოლიკე საკრებულოს უძღვნით, არის არა საქმიანობა, როგორი უხვი და დაუღლელიც არ უნდა იყოს ის (და, მით უმეტეს, არა გაშმაგებული აქტივიზმი, რომელიც უფრო შენსკენ იპყრობს ყურადღებას, ვიდრე ეკლესიისკენ...), არამედ მღვდელმსახურთა შორის ძმობა, კონკრეტულად განცდილი, მოთმინებითა და რუდუნებით მოვლილი, დაცული ყოველგვარი ჩაკეტილობისგან. როცა ერთი ეკლესიის მღვდელმსახურები თანაზიარებას არღვევენ, ეს საშინელებაა მათთვის და ეკლესიისთვის! თითოეულშია ცდუნება (რომელიც წლების მანძილზე შეიძლება გაძლიერდეს), მოიწყოს საკუთარი ბოსტანი, იმუშაოს, თუმცა ენთუზიაზმით, მაგრამ შეზღუდულად, იმის შერჩევით, რაც პირადად მას მოსწონს, წარმოაჩენს, ან აკმაყოფილებს მას. მაგრამ სახარების გავრცელება ერთობლივად არის საჭირო და არა ცალ-ცალკე. გახსოვდეთ, იესომ ორ-ორი მოციქული წარგზავნა.

3. მესამე სიტყვა: ნაყოფიერება. ნუ გეშინიათ: თქვენი ცხოვრება უკვე ნაკურთხია, თქვენ უკვე გამოიღეთ ნაყოფი და კიდევ მრავალ ნაყოფს გამოიღებთ. როგორც ამ ეკლესიის ეპისკოპოსს, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ.

გმადლობთ ყოველი ჯერისათვის, როცა თქვით: „აიღეთ და ჭამეთ“ და ყოველი ჯერისათვის, როცა თქვით: „წადი მშვიდობით, ცოდვები შეგენდო“, ყოველი ჯერისათვის, როცა თქვით: „ეს უფლის სიტყვაა“. გმადლობთ ყოველი ჯერისათვის, როცა ცოცხალი საიდუმლოები იყავით და ამგვარად გააგრძელეთ იესოს მისია. მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს შევძლებთ იმის გაგებას, თუ რამდენი დიადი რამ მოიმოქმედა უფალმა ჩვენი მეშვეობით. სწორედ ის მოქმედებს. შესაძლოა, იმასაც მივხვდეთ, რომ წვალება, გაუგებრობა, იმედგაცრუება, დაღვრილი ცრემლი, ძალით დამორჩილება იესოს ჯვრის სხვა სახელები იყო, რომლებიც მან დაირქვა, რათა ყოფილიყო ხსნა ჩვენთვის და სხვებისათვის.

ღვთის დედა გიღიმოდეთ და გფარავდეთ მუდამ; წმიდა გიორგი, წმიდა ნინო და ყველა წმიდანი, რომელსაც საქართველოს მიწაზე დაუდგამს ფეხი და ყველა მღვდელმსახური, რომელმაც აქ თქვენამდე იღვაწა, იყოს თქვენი თანამგზავრი და შემწე თქვენს სამღვდელმსახურებო გზაზე. გისურვებთ, ეს გზა იყოს გრძელი და მშვენიერი, მთელი ჩვენი ეკლესიის სასიხარულოდ.

დასასრულს, პავლე VI-ს სიტყვებს მოვიყვან: „ძვირფასო მღვდელმსახურებო, სასწაულს გთხოვთ! გაოცებას გთხოვთ! მე, მღვდელმსახური, უნდა ვიყო აღტაცებისათვის, განცვიფრებისათვის, მოხიბვლისათვის მუდამ მზადმყოფი სული. და ყოველივე ძველი, რაც მრავალი წლის მანძილზე აღმისრულებია და შემიცვნია, ყოველდღე ახლად უნდა მომეჩვენოს“.

ვინც გაოცდება, განცვიფრდება, მოიხიბლება, მუდამ ახალგაზრდა რჩება! მუდამ ახალგაზრდები იყავით!

წეროვანი,
2012 წლის 16 ივნისი

მომლოცველობა ეფესოსა და კაბადოკიაში

ქრისტიანული მომლოცველობის ტრადიცია უძველესი დროიდან იწყება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის სათავეებთან პირველი საუკუნეების ქრისტიანები დგანან. 313 წელს კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარებისა და მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებზე ტაძრების აგების შემდგომ, დიდ მნიშვნელობას იძენს სახარებისეული ადგილების თუნდაც ცხოვრებაში ერთხელ მონახულება. IV საუკუნის პირველ ნახევარში იერუსალიმის ეპისკოპოსის წმ. კირილე იერუსალიმელის ქადაგებებში დიდი ადგილი ეთმობა წმინდა ადგილის ხილვისა და მომლოცველობის მნიშვნელობას. ამავე საუკუნეში იქმნება წერილობითი ძეგლები იერუსალიმისა და სხვა ადგილების მომლოცველობის შესახებ. პირველები, ვინც წერილობითი ცნობა შემოგვინახეს ქრისტიანული სიწმინდეების მომლოცველობის შესახებ, არიან IV საუკუნის I ნახევრის ანონიმი მომლოცველი ბორდოდან და დიდგვაროვანი ქალბატონი ეგერია. მათი დღიურები, ფაქტობრივად, სახელმძღვანელო გახდა შემდგომი საუკუნეების მილიონობით მომლოცველისათვის, რომლებიც, საფრთხეების მიუხედავად, მიეშურებოდნენ (და ეს მოგზაურობა ძირითადად ფეხით ხორციელდებოდა) წმინდა მიწისკენ. თანდათანობით მომლოცველობის გეოგრაფია ფართოვდებოდა და მასში, იერუსალიმის გარდა, წმინდა წერილებში დასახელებული სხვა მრავალი ადგილიც შევიდა.

მომლოცველობაში ადრეული საუკუნეებიდანვე მონაწილეობდნენ ქართველებიც. ერთ-ერთ მომლოცველად შეიძლება შოთა რუსთაველიც კი მოვიაზროთ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა სრული ძალით ამოქმედდა საქართველოში კათოლიკე ეკლესია და კურიაც შეიქმნა, მომლოცველობის პრაქტიკა, მეუფე ჯუზეპესა და სხვა მღვდელმსახურთა ინიციატივით, აქტიურ ფაზაში შევიდა. ქართველმა კათოლიკეებმა, მათთან ერთად კი მართლმადიდებელმა მორწმუნეებმაც, არაერთი მომლოცველობა განახორციელეს, როგორც საქართველოში, ასევე წმინდა მიწაზე და სხვა სახარებისეულ ადგილებშიც.

ქრისტიანული მომლოცველობის გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დღევადელ თურქეთის რესპუბლიკას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს სახელმწიფო თავის საზღვრებში მოიცავს მრავალ ადგილს, რომელიც პირველ ქრისტიანობას უკავშირდება.

კაბადოკიას, რომელიც მილიონობით ადამიანისათვის საოცნებო ადგილს წარმოადგენს, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ინიციატივით, რამდენიმე წლის წინ ეწვია მომლოცველთა პირველი ჯგუფი. კაბადოკიის მონახულების მსურველები კი მრავლად იყვნენ, ამიტომ, მამა გაბრიელე ბრაგანტინის ინიციატივით, მიმდინარე წლის მაისის ბოლოს, კვლავ გაეშურა თურქეთისაკენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები კათოლიკე და მართლმადიდებელი ქრისტიანებით დაკომპლექტებული მომლოცველთა ახალი ჯგუფი. მომლოცველთა ამ ჯგუფს, მამა გაბრიელესთან ერთად, მეგზურობას უწევდა მამა პიერ დიუმულენი.

ქართველ მომლოცველთა მასპინძლობა ითავა ეფესოში მოქმედმა კაპუცინთა ორდენის საძმომ, რომელმაც ნაწილობრივ თავის თავზე აიღო მომლოცველობის დაფინანსება და ორგანიზება.

მომლოცველთა ორმოცდაოთხკაციანი ჯგუფი თბილისის, გორის, მესხეთის, ქუთაისისა და ბათუმის საკრებულოებიდან დაკომპლექტდა. მასში, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ მართლმადიდებელი და პროტესტანტი მორწმუნეებიც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ქრისტიანებისათვის მომლოცველობაში მონაწილეობას ხელს არ უშლის კონფესიური განსხვავებები.

25 მაისს, სარფის გამშვები პუნქტის გადაკვეთის შემდგომ, ანკარამდე 1300 კილომეტრიანი მონაკვეთი ჟამნისა და სავარდის ლოცვებით შეუმჩნევლად გავიარეთ. კაპუცინთა ორდენის საძმომ გაითვალისწინა ეფესომდე ხანგრძლივი გზის მთელი სიძნელე და ანკარაში ერთი ღამით კომფორტულ სასტუმროში შესვენების საშუალება მოგვცეს.

26 მაისს მომლოცველთა ჯგუფი უკვე ძველ ეფესოში ჩავიდა. დღეს ეს უძველესი და უმთავრესი ანტიკური ქალაქი, რომელიც პავლე მოციქულის დროს ეგეოსის ზღვის უპირველეს ნავსადგურს წარმოადგენდა, ზღვიდან უკვე 20 კილომეტრით არის დაშორებული და მის ადგილზე აგებული თანამედროვე ქალაქის სახელიც – სელჩუკია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მილიონობით ტურისტს, ყოველწლიურად რამდენიმე დღით ესტუმროს ამ მხარეს. სანახავი კი მართლაც უამრავია: ანტიკური ეფესოს ნანგრევები, გრანდიოზული ამფითეატრი და მარმარილოთი მოკირწყლული ქუჩები, რომელთაც ახსოვთ წმ. პავლე მოციქული, იოანეს სამარხი და მასზე აგებული უძველესი საკურთხევლის ნაშთები, შვიდი მძინარე ჭაბუკის აკლდამა, უძველესი ტაძრების ნაშთები და ეფესოს მთავარი სასწაული – წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახლი, სადაც იგი, იერუსალიმის დატოვების შემდგომ, წმ. იოანე მოციქულის დახმარებით ცხოვრობდა და საიდანაც ზეცად იქნა აღყვანილი კაცობრიობის წმინდა დედა.

ეფესოში წმ. მარიამის სახლი XIX საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს, XVIII საუკუნის გერმანელი წმიდანის, მარი ემერიჰის ხილვებში აღწერილი მინიშნებების მიხედვით. კაპუცინთა ორდენის ბერებმა XIX საუკუნის ბოლოს შეიძინეს ეს ტერიტორია, აღადგინეს წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახლი და ახლა, ამ წმინდა ადგილს წელიწადში ორი მილიონი მომლოცველი სტუმრობს. ორი მილიონიდან ნახევარი ქრისტიანია და ნახევარიც მუსლიმი. მუსლიმებისთვის ასევე მნიშვნელოვანია წმ. მარიამის სახლის მონახულება. წმ. მარიამს, წინასწარმეტყველ იესოს დედას, ხომ ყურანში ცალკე თავი ეთმობა და ყოველი მუსლიმისთვის სათაყვანებელ ქალბატონს წარმოადგენს „მარიამ ანა“.

საღამოს, ეფესოდან 20-ოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე ზღვისპირა ქალაქ კუშადასში დავბინავდით და შეღამებულზე ვესტუმრეთ მარიამის სახლს, სადაც ჩვენი მასპინძელი კაპუცინი მამები ცისკრის მსახურების აღსავლენად ემზადებოდნენ. მსახურებას, იტალიელი და ინგლისელი მორწმუნეების გარდა, თურქეთის სხვადასხვა ქალაქების კათოლიკური საკრებულოების წევრი მომლოცველებიც ესწრებოდნენ. ამიტომ ლოცვებიც თურქულ, იტალიურ, ინგლისურ, ქართულ და საყოველთაო ლათინურ ენაზე აღევლინებოდა. ცისკრის ლოცვაში, კაპუცინ ბერებთან ერთად, მამა გაბრიელე და მამა პიერიც მონაწილეობდნენ.



ლოცვები ჯერ ღია ცის ქვეშ, ბაპტისტერიუმთან დაიწყო, შემდეგ ასეულობით მლოცველმა, ანთებული სანთლებით ხელში, იტალიელ მომლოცველთა მგალობელი გუნდის თანხლებით, წმ. მარიამის წყაროსთან, შემდგომ კი ღვთისმშობლის სახლის მახლობლად, ღია საკურთხეველთან გადაინაცვლა. ეს იყო მართლაც დაუვიწყარი ცისკრის მსახურება, რომელზეც იესო ქრისტეში გაერთიანებული სხვადასხვა ქვეყნის, ერისა და კულტურის წარმომადგენლები ერთად აღავლენდნენ ვედრებებს უფლისა და ქალწული მარიამისადმი.

მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავბრუნდით სასტუმროში, რათა მეორე დილით სულიწმინდის მოფენის დღესასწაული ერთად აღგვენიშნა წმ. იოანეს სამარხზე აგებულ ტაძარში.

27 მაისს, დილიდანვე გავეშურეთ ძველი ეფესოს სიახლოვეს აგებულ თანამედროვე ქალაქ სელჩუკში. ქალაქის ციტადელი, რომელსაც ოსმალთა დროინდელი ციხე-სიმაგრე აგვირგვინებს, III-VIII საუკუნეების ეფესოს ნაქალაქარს მოიცავს. დღეს აქ თურქეთის რესპუბლიკის სამუზეუმო ცენტრია, სადაც განსაკუთრებულ დღეებში კათოლიკე ქრისტიანებს ნებას რთავენ, აღავლინონ წმ. წირვები მოციქულ იოანეს საფლავზე. ჩვენი მომლოცველობის ორგანიზატორებმა ისე დაგეგმეს ვიზიტი თურქეთში, რომ საშუალება მოგვეცა, წმ. იოანეს სამარხზე აგებულ საკურთხეველთან წმ. წირვის აღსრულებას დავსწრებოდით. წირვას იზმირის ეპარქიის მმართველი, მთავარეპისკოპოსი რუჯერო აღავლენდა, მასთან ერთად კაპუცინთა ორდენის საძმო, თურქეთში (იზმირისა და ანკარის ეპარქიებში) მოღვაწე კათოლიკე მღვდლები და მამა გაბრიელე და მამა პიერი იღებდნენ მონაწილეობას. წირვის შემდგომ, საშუალება მოგვეცა, გულუხვი მასპინძლობისათვის გულწრფელი მადლობა გადაგვეხადა მთავარეპისკოპოსისა და „მარიამ ანას“ საკრებულოს კაპუცინი მამებისათვის. წირვის შემდგომ, კაპუცინთა საძმომ ყველა სტუმარი სადღესასწაულო ტრაპეზზე მიგვიაწვია, შემდგომ კი ანტიკური ეფესოს დასათვალიერებლად გავეშურეთ, სადაც შეუდარებელ მეგზურობას გვიწევდა მამა პიერი. მომლოცველობის მონაწილეები დამეთანხმებიან, რომ ეფესოს ნანგრევების გაცნობისას, ყველაზე შთამბეჭდავი გახლდათ ამფითეატრის მონახულება, სადაც მამა პიერმა მართლაც შეუდარებელ სპექტაკლში ჩაგვითრია და პავლე მოციქულის ეფესოში გასამართლების ეპიზოდის ინსცენირების მონაწილეები გაგვხადა. პირადად ჩემთვის, როგორც რელიგიის ისტორიკოსისათვის, მნიშვნელოვანი იყო იმ ტაძართა ნანგრევების მონახულება, სადაც ცნობილი ეფესოს მსოფლიო კრება გაიმართა.

28 მაისს, დილით, კვლავ ვესტუმრეთ წმ. მარიამის სახლს, სადაც ქართულ ენაზე აღვავლინეთ სამადლობელი წირვა და კაბადოკიისაკენ მიმავალ გზას დავადექით. გზად უმშვენიერესი ადგილის, ძველი ჰიერაპოლისის (ახლანდელი პამუქკალეს) მონახულება გველოდა. გადმოცემის თანახმად, ჰიერაპოლისში დაკრძალულია მოციქული ფილიპე. მართალია, ამ ძველი ელინური ქალაქის ნანგრევები დღეს მუზეუმს წარმოადგენს და იქ ქრისტიანული მსახურების ჩარატება კანონით არ არის ნებადართული, მაგრამ ათასობით მორწმუნე მიეშურება ქალაქ-მუზეუმის თავზე აღმართული ტაძრის ნანგრევებისაკენ, რათა პატივი მიაგონ იმ ადგილს, სადაც მოციქული ფილიპე და მისი ქალიშვილები არიან დაკრძალულნი.

ჰიერაპოლისიდან კარგად მოჩანს იოანეს გამოცხადებაში აღწერილი ქალაქი ლაოდიკია, რომელიც „არც ცივი იყო და არც ცხელი“ და რომლის კარებზეც აკაკუნებდა უფალი. დღეს ამ ქალაქის ნანგრევებია დარჩენილი, ისევე როგორც იოანეს გამოცხადებაში აღწერილი აზიის სხვა ანტიკური ქალაქები.

ღამე პამუქკალეში დავყავით და 28 მაისს ძველი იკონიისკენ (ახლანდელი კონია) გავემგზავრეთ. ქალაქი ანატოლიის ამაღლებულ ზეგანზეა გაშენებული და მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. XIII საუკუნეში სელჩუკთა კონიის სასულთანოს ცნობილი დედოფალი გახლდათ გურჯი ხათუნი, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოდან. მისი დედოფლობის დროს, კონიაში, ვეზირ მევლანას დროს, ჩაისახა და განვითარდა სუფიზტური მისტიკური მოძრაობა, რომელიც თავისი სწავლებით ძალიან წაადგა ქრისტიანულ მოძღვრებას მოყვასის სიყვარულზე. მართალია, ქემალ ათათურქის ანტირელიგიური პოლიტიკის დროს, 30-იანი წლების დასაწყისში, სუფიზტთა ორდენს აეკრძალა მოღვაწეობა, მაგრამ მუსლიმებისათვის კონია რჩება მათი რელიგიური რწმენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად. თუმცა კონია, ანუ ანტიკური იკონია, პირველ რიგში, არის ქალაქი, რომელსაც პავლე მოციქული სტუმრობდა, ქალაქი, სადაც მრავალი წმინდანი და ეკლესიის მასწავლებელი მოღვაწეობდა.

კონიაში დღეს 1902 წელს აგებული კათოლიკური ეკლესია მოქმედებს. იგი ერთადერთი ტაძარია მთელ მხარეში. ტაძარს ამჟამად ორი მონაზონი პატრონობს. თვეში ერთხელ ანკარიდან მოძღვარიც ჩამოდის, მუდმივი მრევლი კონიაში არ არის,

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

თუმცა ყოველ ოთხშაბათს ადგილობრივ მკვიდრთათვის, მათთვის, ვისაც აინტერესებს შეიტყოს ქრისტიანობისა და ეკლესიის შესახებ, ტაძარში ტარდება შეხვედრები. სახელმწიფოში, სადაც ქრისტიანული მისიონერობა იკრძალება, ამგვარი შეხვედრები ერთადერთი საშუალებაა, გააცნონ ქრისტეს მოძღვრება დაინტერესებულ ადამიანებს.

კონიაში ყოფნის ერთი საათი წმინდა წირვას მივუძღვენით, ლოცვებით შევავედრეთ უფალს თურქეთში მცხოვრები ქრისტიანები, ჩვენი კაპუცინი მასპინძლები, ასევე ჩვენი ეპისკოპოსი, რომელმაც გვთხოვა, მომლოცველობის დროს გველოცა მისთვის. წმ. წირვის შემდეგ, მასპინძელმა მონაზონმა მადლობა გადაგვიხადა სტუმრობისათვის, გულში ჩამწვდომი იყო მისი სიტყვები: „მართალია, ჩვენ აქ მუდმივი მოძღვარი არ გვყავს, მაგრამ გაზაფხულიდან ოქტომბრის ბოლომდე, თითქმის ყოველ კვირას და ისე დღეებშიც აქ უამრავი მომლოცველი ჩამოდის, მათთან ერთად მღვდლებიც და საშუალება გვაქვს, წირვები აღვასრულოთ“. ადგილობრივი კანონების თანახმად, თუ არ იქნება სისტემატური მსახურება და ეკლესია უმოქმედოდ დარჩება, ხელისუფლებას უფლება აქვს, საერთოდაც დაკეტოს ტაძარი. მერე კი მისი ხელახალი ამოქმედება უკვე საერთაშორისო დონეზეც კი შეიძლება ვეღარ გადაიჭრას. ისე, ინფორმაციისათვის, დიდი ხანია, მიმდინარეობს მოლაპარაკება ვატიკანსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, რამდენიმე ისტორიული ტაძრის ამოქმედების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, თურქეთში ზუსტად იმდენი კათოლიკეები ცხოვრობენ, რამდენიც საქართველოში, – როგორც ხანგრძლივი მივლინებით მცხოვრები ევროპელები, ასევე ადგილობრივი მოქალაქეებიც. სულ კი თურქეთში ოთხი კათოლიკური ეპარქიაა, რამდენიმე ათეული ტაძარი და სამლოცველო სახლი. წარმატებით მოქმედებენ კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციები და მისიები.

იკონიიდან კაბადოკიამდე შორი გზა არაა და საღამოსთვის უკვე კლდეში ნაკვეთი ქალაქების მხარეში აღვმოვჩნდით. კაბადოკია რბილ კლდოვან ქანებზეა გაშენებული, რამაც ხელი შეუწყო კლდეში ნაკვეთი ქალაქ-გამოქვაბულების შექმნას, სადაც პირველ საუკუნეებში ქრისტიანული დასახლებები წარმოიქმნა. დღეისათვის ქვაში ნაკვეთი ქალაქები მუზეუმებადაა ქცეული და მათ მილიონობით ტურისტი სტუმრობს. მოქმედი ტაძრები კაბადოკიაში არ არის, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ზოგ შემთხვევაში თვალს ხუჭავს, როცა რომელიმე მიტოვებულ მღვიმეში, სადაც ადრე ტაძარი იყო, მომლოცველები ნახევრად ფარულად ღვთისმსახურებას აღავლენენ. ჩვენც ვისარგებლეთ ამგვარი შემთხვევით და კანადიკიის ერთ-ერთ ყოფილ ტაძარ-მღვიმეში წმინდა წირვა ჩავატარეთ ქართულ ენაზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მ. გაბრიელესა და მ. პიერის მიერ აღვლენილი ეს წირვა წმ. ნინოს მშობლიურ მხარეში. თითქოს უხილავი ძაფი გაიბა საუკუნეებს შორის, როცა, ღვთისმშობლის კურთხევით, კაბადოკიელი ქალწული მისთვის უცნობი ქართლისაკენ გამოეშურა.

კაბადოკიას მრავალი მომლოცველი სტუმრობს, ეკლესიის წყალობით, კათოლიკე მორწმუნეებს საშუალება აქვთ წმინდა წირვების ჩატარებისა. ჩვენს სასტუმროშიც იყო წირვა-ლოცვების აღვლენის საშუალება. მომლოცველთა ჯგუფებისათვის წიგნის სამკითხველო დარბაზი გათვალისწინებული იყო წირვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საერო სახელმწიფოა და იქ რელიგიური მსახურება არარელიგიური მიზნებით აგებულ ნაგებობებში იკრძალება, და ეს აკრძალვა ნებისმიერ რელიგიას ეხება, ხელისუფლება თვალს ხუჭავს მსგავს ფაქტებზე.

ქრისტიანებისათვის წირვა-ლოცვების აღვლენის შესაძლებლობის მთავარ ხელისშემწყობ მიზეზს პილიგრიმობიდან მოღებული შემოსავალი წარმოადგენს. რაც მეტი მომლოცველი ჩავა თურქეთში, მით მეტ პრივილეგიებს მოიპოვებენ ქრისტიანები ამ სახელმწიფოში. საკმარისია, ამის მაგალითად, მოვიყვანოთ ტაო-კლარჯეთი, სადაც თუ ოციოდე წლის წინ ქართველ ტურისტს საერთოდაც არ გააჭაჭანებდნენ, დღეს იქ, ქართველი მომლოცველების წყალობით, ტურისტული ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდა და, კაბადოკიის მსგავსად, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა მომლოცველობა.

კაბადოკიის შთაბეჭდილებებიდან ერთი შემთხვევა მინდა გამოვყო, რომელიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ღიაციის ქვეშ მუზეუმში, ერთ-ერთი ტაძარ-მღვიმის მონახულების დროს, ქალაქ კაიზერიდან ჩამოსულ სკოლის მოსწავლეთა ჯგუფს შევხვდით. ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოდან ასე მოშორებული შიდა პროვინციის ქალაქის (სადაც არც გურჯებისა და არც ლაზების შთამომავლები არ ცხოვრობენ) დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ასეთი სიყვარული ექნებოდათ ჩვენი ქვეყნის მიმართ. ამ 10-12 წლის ბავშვებმა, როცა გაიგეს, რომ საქართველოდან ვიყავით, ჩვენი მისამართით გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი სკანდირება მოაწყვეს.

დასრულდა კიდევ ერთი ლამაზი მომლოცველობა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, დიდი ქრისტიანული ტრადიციების მხარეში. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომლოცველთა ვედრებები ნაყოფს გამოიღებს და ახლო მომავალში დაკეტილი ტაძრები, რომელთაც, მართალია, ხელისუფლება იცავს და უვლის კიდეც, მის ჭეშმარიტ პატრონებს დაუბრუნდება. ამ მომლოცველობამ ის აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცა, რომ ოშკისა და ბანას სანაცვლოდ, ნაცვალგების სახით, ორი ყოფილი მეჩეთის აღდგენა თურქეთის მხრივ საქართველოს მიმართ კეთილმეგობრული ჟესტია, თორემ საბერძნეთმა ათი მეჩეთის აღდგენაც რომ შესთავაზოს ერთი ტაძრის სანაცვლოდ, თურქეთი უარით უპასუხებს.

მომლოცველობა ნამდვილად საინტერესო, სულიერი და შთამბეჭდავი იყო, რაშიც დიდი დამსახურება მამა პიერს მიუძღვის, რომელსაც ნამდვილად დიდი გამოცდილება და სიყვარული აქვს ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული ადგილების მომლოცველობისა (როგორც თავად განაცხადა, ამ მხარეში ეს მისი რიგით მეათე მომლოცველობა იყო). ვსარგებლობ შემთხვევით და, ყველა მომლოცველის სახელით, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მამა გაბრიელეს, მამა პიერს, რომლის მღვდლად ხელდასხმის 25 წელი ერთად ვიზეიმეთ, ასევე იზმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს გუჯეროს, ეფესოს კაპუცინთა მისიას მასპინძლობისათვის და მთელი მომლოცველობის მანძილზე გამოჩენილი ზრუნვისა და სითბოსათვის.

ნუგზარ ბარდაველიძე

XIII საუკუნე და ეკლესიის ერთიანობა

„ახლა ვნახოთ, როგორი „ძმური განწყობა“ ჰქონდა ათონზე ლათინების მიმართ ივერონს და პირიქით: 1274 წელს ლათინებმა დაარბიეს ივერონის საძმო, ლათინებმა და არა ჯვაროსნებმა, მაგრამ შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს და ამგვარი ქმედებანი ათონზე ლათინთა ბატონობის დროს ხშირი იყო“.

(Д. Оболенский, Византийских портретов
М. Янус-к, 1998, ц. 500)

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“, №6, 2012)
ნაწილი II

ლიონის კრება

1261 წელს კონსტანტინოპოლის დაპყრობა იმპერიის პრობლემას ვერ გადაჭრიდა; პრობლემები მხოლოდ დროებით მოგვარდა მიხეილ VIII-ის პოლიტიკური და დიპლომატიური გამჭრიახობის წყალობით; მისმა მემკვიდრეებმა კი ვეღარ შეძლეს მათი გადაჭრა. მიხეილი 1224 წელს დაიბადა, იგი ანდრონიკე პალეოლოგოსისა და თეოდორა პალეოლოგოსის ძე გახლდათ. 1258 წელს, 36 წლის ასაკში, ეპილეფსიის მძიმე ფორმით დაავადებული თეოდორე II ლასკარისი, ბიზანტიის იმპერატორი 1254-1258 წლებში, გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა მისმა ძემ იოანე IV ლასკარისმა (1250 -1305), ჯერ კიდევ ბავშვმა. ანდერძის პირობების თანახმად, მმართველობა გადაეცა იმპერატორის მეგობარს, გიორგი მუზალონს (Giorgio Muzalon), რომელსაც თავს დაესხნენ იმპერატორის დაღუპვიდან ცხრა დღის შემდეგ გამართული სამგლოვიარო ცერემონიალის დროს და მოკლეს. მავანნი ფიქრობდნენ, რომ ამაში მომავალი იმპერატორის, მიხეილის ხელი ერია. გადმოცემის თანახმად, როდესაც 1261 წელს, აღსაყდრების ცერემონიალის შემდეგ, ბასილევსი დედაქალაქში შევიდა, ძველ საიმპერიო სასახლეში განმარტოდა მომავალ პრობლემებზე დასაფიქრებლად. პრობლემები კი მრავლად იყო: ქალაქისა და მისი უბნების კონსოლიდაცია, გალავნის გამაგრება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა; მანვე დაგეგმა წმიდა მოციქულთა სახელობის ტაძრის წინ მიქაელ მთავარანგელოზის მონუმენტური ქანდაკების დადგმა (მასში დაეჭვებული ეკლესიის ყურადღების მისაპყრობად)..., პირველ რიგში კი, მისახედი იყო პოლიტიკა და დიპლომატია. პაპი ურბან IV, რომელიც ადრე იერუსალიმის ლათინი პატრიარქი გახლდათ, ვერ ურიგდებოდა იმპერიის ასე მოულოდნელ დაცემას. ევროპის სხვადასხვა საგრაფოების მმართველები და ხელმწიფეები მხოლოდ და მხოლოდ საბაბს ეძებდნენ მიყენებული შეურაცხყოფის საპასუხოდ. თუკი ზოგი მათგანი, მაგალითად, მანფრედი, რომელიც სიციალიაში დაბრუნდა, ან კარლ ანჟუელი, კოალიციას შექმნიდნენ, ბიზანტიური იმპერიის მიერ ახლად დასახულ კურსს მაშინვე ჩაახშობდნენ. დიდმა პალეოლოგოსმა იგრძნო დასავლეთთან თანხმობის მიღწევის აუცილებლობა; პაპ ურბან IV-ის დახმარებით, მიხეილი თავის ყოფილ მტრებს შეურიგდა. დროის მოკლე მონაკვეთში იმპერატორს ისღა დარჩენოდა, რომის პაპისთვის მიემართა. გასაკვირი არაა, რომ მიხეილ VIII-მ, რომელმაც შეიტყო ურბან IV-ის არჩევის შესახებ, დესპანი გაუგზავნა მას თხოვნით, რომ გაეერთიანებინა ბერძნული და რომაული ეკლესიები, თუმცაღა წმიდა საყდარში გაგზავნილი ორი დესპანიდან ერთი, რომელთაც მისი აღსაყდრების შესახებ უნდა ემცნოთ (ასე მოგვითხრობს მატიანე), ცოცხლად გაატყავეს, მეორე კი სასწაულებრივად გადარჩა. 1263 წლის გაზაფხულზე კალაბრიის ქალაქ კროტონის ლათინი ეპისკოპოსი, ბერძენი, სახელად ნიკოლა, ძალზე განსწავლული პიროვნება, ბასილევსის დავალებით, კონსტანტინოპოლიდან რომს გაემგზავრა. გაცილებით ადრე, იგი ბიზანტიის საიმპერიო კარს ეწვია, რათა იმპერტორისთვის ბერძნულ ენაზე გაეცნო რომის ეკლესიის მრწამსი. ეპისკოპოსის გამჭრიახობამ და შემრიგებლურმა პოზიციამ წარმატება მოიტანა. მან პაპს გადასცა იმპერატორის წერილი, სადაც მინიშნებული იყო ორი ეკლესიის შეერთების შესაძლებლობა. პალეოლოგოსმა ურბან IV-ისადმი ისეთი დიდი მოწიწება და კეთილგანწყობა გამოიჩინა, რაც რომის ეკლესიის თავის მიმართ არცერთ სხვა იმპერატორს არ გამოუჩენია. წერილში საუბარი იყო ერთგულებასა და მორჩილებაზე. ურბან IV-მ შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა, რადგანაც მას, როგორც წარსულში იერუსალიმის ლათინ პატრიარქს, კარგად მოეხსენებოდა წმიდა ადგილებში არსებული ვითარება და ქრისტიანთა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის აუცილებლობა. ამიტომ საჭირო იყო ქრისტიანთა გაერთიანება; ჩავიდა თუ არა პაპის საპასუხო წერილი კონსტანტინოპოლში, გარკვეულ საკითხთა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევა გადაწყვიტეს, რასაც უნდა დალოდებოდა პაპი, მაგრამ სანამ ასამბლეა შედგებოდა, ურბან IV 1264 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

ახალი პაპი, კლემენტ IV, ისიც წარმოშობით ფრანგი, კატეგორიულად უარყოფს კრების მოწვევის აუცილებლობას, და აცხადებს, რომ „რწმენის სიწმინდე ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს“ და, მით უფრო, არ უნდა გაიმართოს კამათი არც „ფილიოკვეს“ და არც ამ ორ ეკლესიას შორის არსებულ ნებისმიერ საღვთისმეტყველო საკითხებზე, დოგმატურ განსხვავებაზე. 1267 წლის 4 მარტს, პაპი კლემენტ IV, მიხეილ VIII-ის მხრიდან მშვიდობისა და ერთიანო-

ბის მოთხოვნის პასუხად, მას გაუგზავნის გრძელ წერილს, სარწმუნოების აღსარებასთან ერთად, რაზეც ბიზანტიის იმპერატორსა და მთელ აღმოსავლურ ეკლესიას უპირობოდ უნდა მოეწერა ხელი. სარწმუნოების ეს აღსარება ითვალისწინებდა: „ფილიოკვეს“ მიღებას და აღმოსავლურ ეკლესიაზე რომის პაპის იურისდიქციის დაწესებას; აზიმის (ხმიადი) პურით ევქარისტიულ ზიარებას; აღმოსავლელი პატრიარქების მიღებას რომის პაპის დელეგატების რანგში. მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე, ერთიანობა კიდევ უფრო შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ბიზანტიის წინააღმდეგ ანჟუელის (angioina) მუქარა უფრო მეტად რეალური ხდება. ბიზანტიის იმპერიაში აშკარა სირთულე მაშინ გადაილახა, როდესაც კლემენტ IV დათანხმდა მიხეილის წინადადებას, მიეღოთ ახალი ტრაქტატი ორი ეკლესიის ერთიანობის შესახებ. მართალია, პაპი 1268 წელს გარდაიცვალა, მაგრამ იმპერატორმა კარგი მოკავშირე იპოვა საფრანგეთის ღვთისმოსავი მეფის, ლუი IX-ის სახით, რომელმაც შეძლო, თავისი ძმისთვის, კარლ ანჟუელისთვის ბიზანტიის წინააღმდეგ აგრესიული ჩანაფიქრი გადაეფიქრებინა და ჯვაროსნული ლაშქრობა ტუნისის წინააღმდეგ მოეწყო (1270 წ).

საბოლოოდ, 1271 წელს, სამწლიანი მოლოდინის შემდეგ, არჩეულ იქნა პაპი გრიგორი X, როდესაც იგი ჯერ კიდევ პალესტინაში იმყოფებოდა მეფე ედუარდ I-თან ერთად. ეკლესიების გაერთიანება მან რელიგიურ ჭრილში გადაიტანა და ამ გზით გააიოლა იმპერატორის პოლიტიკა. აღმოსავლეთში მოგზაურობამ მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იერუსალიმი დაეპყრო. მაგრამ რადგანაც იერუსალიმის დაპყრობა შეუძლებელი იქნებოდა ბიზანტიელების დაუხმარებლად, საჭირო იყო ეკლესიის დაუყოვნებლივ გაერთიანება. ამისთვის კი აუცილებელი იყო, კარლ ანჟუელს უარი ეთქვა თავის ექსპანსიურ მიზნებზე და ასევე ბიზანტია-ვენეციის შეთანხმების გადახედვა. 1271 წლის ოქტომბერში, არჩევიდან ერთი თვის თავზე, პაპმა პირადად მიიწვია მიხეილ პალეოლოგოსი ეკუმენურ კრებაზე, რომელიც ორი წლის შემდეგ უნდა გამართულიყო ლიონში. 1272 წელს მან კონსტანტინოპოლში ოთხი ფრანცისკელი ბერისგან შემდგარი ახალი დელეგაცია გაგზავნა, რომელსაც უნდა ეცნობებინა მისი ნება კრების მოწვევის თაობაზე, რათა წმიდა მიწას დახმარებოდნენ, მოეხდინათ საეკლესიო რეფორმა და მიეღწიათ ერთობისთვის. მაგრამ მიხეილ VIII პალეოლოგოსს ჯერ ფიცი უნდა დაედო და ეღიარებინა მრწამსი, რაც თავის დროზე იქნა გაგზავნილი კლემენტ IV-ის მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ მოიწვევდა პაპი კრებას, სადაც იგი დისკუსიას კი არ გამართავდა გარკვეულ საკითხებზე, არამედ, უბრალოდ, განამტკიცებდა საჯარო დასტურით გამოხატულ ერთობას. ამავდროულად, გრიგორი X სწერს კონსტანტინოპოლის პატრიარქს, იოსებ I-ს და ბერძენ პრელატებს, რომ მხარი დაუჭირონ მას და დაითანხმონ იმპერატორი წაყენებულ პირობებზე. გრძნობდა რა არსებულ სირთულეს, იმპერატორს არც მოუკითხავს რომის ეკლესიაზე დაქვემდებარების მისთვის კარგად ნაცნობი აქტი: ისიც საკმარისი იყო, რომ ეპისკოპოსებს ეღიარებინათ რომის უზენაესობა. თავის პასუხში იმპერატორმა მას (პაპს) აცნობა, რომ მისთვისაც პრიორიტეტული იყო ეკლესიათა ერთობის საკითხი, და რომ აუცილებლად გაგზავნიდა კრებაზე წარმომადგენლებს. მაგრამ ასე როდი ფიქრობდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის უმრავლესობა. იმპერატორის ურთიერთობა ეკლესიასთან თავიდანვე პრობლემური იყო. ლეგიტიმური იმპერატორის, იოანე ლასკარისის (Giovanni Lascarisi) დაბრმავების გამო, პატრიარქ არსენ ავტორიანუსის (Arsenio Autoreianus) მიერ შეჩვენებულმა იმპერატორმა გადაწყვიტა, პატრიარქისთვის სამაგიერო გადაეხადა, მის წინააღმდეგ სამხილები გამონახა და კრების დადგენილებით გადააყენა (1266 წ). თუმცა შეიქმნა ფრაქცია – არსენის მომხრეები – მტრულად განწყობილნი ოფიციალური ეკლესიის პოლიტიკის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბერმონაზონთა უმრავლესობა და ბერძენი ხალხი, რომლებიც ცუდად იყვნენ განწყობილნი დასავლეთისა და დასავლური თეოლოგიის მიმართ, ეკლესიათა ერთიანობის საკითხთან დაკავშირებით, ბიზანტიის ეკლესიის ოპოზიცია ადვილად ვერ შეეწინააღმდეგებოდა ეკლესიის ავტორიტეტულ ფიგურებს. პატრიარქი იოსებ I გალესიოტესი (Galesiotes), რომელმაც შეცვალა პატრიარქი არსენი, ვერაფრით ვერ დაარწმუნეს, ეღიარებინა ეკლესიათა ერთიანობის საჭიროება; მან დაიფიცა, რომ ამას არასოდეს გააკეთებდა, ხოლო როდესაც ეკლესია გაერთიანდებოდა, იგი მონასტერში ჩაიკეტებოდა.

იოანე ბეკოსი, მომავალი პატრიარქი, რომელმაც ეკლესიის ერთობის საკითხთან დაკავშირებით შეკრებილ სინოდზე იმპერატორის თეზისების წინააღმდეგ გაილაშქრა, სხვა გამოჩენილ პირებთან ერთად, დააპატიმრეს. ასე იყო თუ ისე, თვეების მანძილზე მიმდინარეობდა დიალოგი საპატრიარქო კურიასა და საიმპერიო სასახლეს შორის, რომთან კავშირის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე; იმპერატორმა მოახერხა, თავის უნიატურ თეზისებში ბერძენი ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტების დიდი ჯგუფი ჩაერთო და დაერწმუნებინა ისინი, რომ მიეღოთ კლემენტე IV-ის მრწამსი, იმ შეგნებით, რომ ეს არ ნიშნავდა რაიმე ცვლილებას საეკლესიო წესებში, არც „მრწამსის“ ბერძნულ ტექსტში რაიმეს შეცვლას, ან დამატებას. 1274 წლის ლიონის კრებამდე, კონსტანტინოპოლის საიმპერიო სასახლეში, იმპერატორი, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, და მათთან ერთად ორმოცდაოთხი პრელატი, საზეიმოდ დებენ ფიცს და აღიარებენ კლემენტე IV-ის მრწამსს. შემდეგ იმპერატორი თავისი დელეგაციისთვის დაცვას ითხოვს. პაპმა ეს მისია დააკისრა მონტე-კასინოს აბატს. ამასთან დაკავშირებით, პაპი გრიგორი X კრებას იწვევს ლიონში, სადაც უნდა წარდგენილიყო ბერძნული დელეგაცია. დელეგატთა მოგზაურობა რთულად და უსიამოვნოდ წარიმართა, შტორმის დროს ერთ-ერთი გემი ჩაიძირა. როცა მათ 24 ივნისს ლიონს მიაღწიეს, კრება უკვე 7 კვირის დაწყებული იყო; ბერძნული დელეგაცია, რომელიც შედგებოდა ორი ეპისკოპოსისა და იმპერატორის მდივნისაგან, ზარ-ზეიმით მიიღეს; პაპმა მათ მშვიდობის ამბორიც მისცა. 29 ივნისს, წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს დღესასწაულზე, პაპი ორ ენაზე წარუძღვა საზეიმო წირვას და ამით ბიზანტიასთან სქიზმის დასრულება აღნიშნა: წარმოთქვეს მრწამსი, როგორც ბერძნულად, ასევე ლათინურად, ხოლო ფილიოკვეს ფორმულა ლამის სამგზის

იქნა გაცხადებული. 6 ივლისს კრების მეოთხე სესია შედგა, რომელიც ბერძნებთან ერთიანობას მიეძღვნა. გრიგორი X-მ, მას მერე, რაც შეაჯამა წინასწარი მოლაპარაკების შედეგები, განაცხადა, რომ ბერძნები „თავისი ნებით ემორჩილებიან რომაულ ეკლესიას“. ბერძენი დელეგატები იმეორებდნენ თებერვლის თვეში კონსტანტინოპოლში იმპერატორის მიერ ფორმულირებულ მორჩილებისა და რწმენის აღიარების აქტს. მათ წაიკითხეს იმპერატორის წერილის ლათინური ვერსია, რომელიც მოიცავდა ერთდროულად რწმენის აღიარებას, ფილიოკვეს, პაპის პრიმატს და იფარგლებოდა იმ თხოვნით, რომ ბიზანტიის ეკლესიას შეენახა სქიზმამდელი მრწამსი და ყველა რიტუალი, რაც რომის ეკლესიის ნორმებთან შესაბამისობაში არ მოდიოდა. ამას მოჰყვა ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის საზეიმო გალობა, ფილიოკვეს დამატებით (ორგზის იგალობეს); იმ დღეს, ყოველგვარი კამათის გარეშე, გაცხადდა ერთიანობა. 220 წლის შემდეგ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესია ერთმანეთს დაუკავშირდა, 17 ივლისს კრება იხურებოდა. კარლ ანჟუელს უარი უნდა ეთქვა დაგეგმილ დამპყრობლურ ომზე და 1276 წლის 1 მაისამდე ხელი მოეწერა განიარაღებაზე; 1275 წლის მარტში განახლდა ვენეციასა და ბიზანტიის იმპერიას შორის დადებული ტრაქტატი.

მართალია, 1275 წლის 16 იანვარს კონსტანტინოპოლში, საიმპერიო სასახლეში გამართეს საზეიმო ლიტურგია ერთიანობის მიღწევის აღსანიშნავად, მაგრამ მიხეილს ძვირად დაუჯდა ეს ერთობა: დედაქალაქის ქუჩები სულ მალე გაივსო მანიფესტანტებით, რომლებიც მრწამსის მოღალატეობაზე გაჰყვიროდნენ. ბერძენი ხალხი იმპერატორს აუჯანყდა. წინააღმდეგობამ და განხეთქილებამ საიმპერიო ოჯახშიც იჩინა თავი. პატრიარქი იოსებ I გალესიოტესი, დაპირებისამებრ, გადადგა და იმავე წლის მაისში იგი შეცვალა იოანე XI ბეკოსმა, რომელსაც, საპატიმროში დიდი ხნის განსჯის შედეგად, უკვე მოესწრო უნიატური თეზისების გაზიარება.

სულ რაღაც ცამეტწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ, რატომ უნდა მოქცეულიყვნენ ბერძნები ისევ ლათინთა უღელქვეშ, რომლებიც 57-წლიანი ოკუპაციის შემდეგაც ვერ დაარწმუნეს, აზრი შეეცვალათ მათზე? რატომ ვერ გაითვალისწინა მიხეილ პალეოლოგოსმა, რომ ამას აუცილებლად მოყვებოდა რეაქცია ეკლესიის მხრიდან? ან იქნებ იცოდა, რომ ასეც მოხდებოდა, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივების გამო არაფერს გაუწია ანგარიში? რატომ გაუსწორდა იგი ასე სასტიკად ერთიანობის მოწინააღმდეგებს? ალბათ იმიტომ, რომ მას თავისი იმპერიის გადასარჩენად სხვა გზა არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში რომთან ერთობა იმპერიის მოქიშპეებს ყოველგვარ გზას უჭრიდა მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად; ამავე დროს, თავისუფალი ასპარეზი რჩებოდა იმისათვის, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ლათინები გაეძევებინათ. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, პასუხი დამაკმაყოფილებელი იყოს, ამ დიდი იმპერატორის მოქმედება ჯერ ისევ ბადებს მრავალ კითხვას და გამოწვლილვით გამოკვლევას. მიუხედავად რომის ეკლესიასთან მისი უნიატური პოლიტიკის მარცხისა, რატომ არ გატეხა მან ფიცი და რატომ ამჯობინა მომკვდარიყო შეჩვენებული, როგორც ბიზანტიის, ასევე რომის ეკლესიის მხრიდან, მით უფრო მაშინ, როდესაც პაპის, მარტინ IV-ის შეჩვენების შემდეგ, მან შეძლო ბიზანტიის ეკლესიასთან ზიარების განახლება? იქნებ, ეს ყველაფერი წმიდა წყლის პოლიტიკა იყო? ან იქნებ მიცემული სიტყვისადმი ერთგულება? ცხადია, ყველაფერი ასე იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ უნდა გავცდეთ წმინდა პოლიტიკურ ინტერპრეტაციას და უნდა ვეძებოთ ის მიზეზები, რამაც გამოიწვია მისი პოლიტიკური კურსის წარუმატებლობა. როდესაც 1276 წელს პაპი გრიგორი გარდაიცვალა, მასთან ერთად დასამარდა მისი, როგორც პონტიფექსის, იდეები; პაპი პალეოლოგოსში ყოველთვის ხედავდა აღებული მოვალეობის ერთგულ შემსრულებელს. მომდევნო პაპების მხრიდან აშკარად იგრძნობოდა უყურადღებობა იმ ორმხრივი ინტერესების მიმართ, რაც საერთო ჭრილში განიხილებოდა. ხანმოკლე პერიოდით არჩეული, ფილო-ფრანგული პოლიტიკის მომხრე ორი პაპის (ადრიან V და იოანე XXI) შემდეგ, 1277 წელს ახლად არჩეული პონტიფექსის, ნიკოლოზ III-ის ანტიფრანგული პოლიტიკის წყალობით, ბიზანტიის იმპერია გათავისუფლდა მისი მოქიშპის, კარლ ანჟუელისაგან. თუმცა, ამავე დროს, ნიკოლოზ III, რომელსაც არ გააჩნდა მოთმინებისა და დიპლომატიის ისეთივე უნარი, როგორიც გრიგორი X-ს, აცხადებდა, რომ ერთიანობა რეალობად იქცა აღმოსავლეთში; 1279 წლის გაზაფხულზე მან იმპერატორს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბერძნებს ურჩევდა, არ შეენახათ სქიზმამდელი რიტუალები (ლიონის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ) და ასახელებდა პონტიფექსის ლეგატს, რომელიც სტაბილურად დაიდებდა ბინას ბიზანტიაში; აქ კი ვითარება ფრიად დამძიმდა. ბიზანტიაში გამართულ სინოდზე იმპერატორმა მიხეილ VIII-მ ისევ განაცხადა, რომ ერთ პუნქტსაც არ შეცვლიდა მრწამსში; 1280 წელს, როდესაც ნიკოლოზ III გარდაიცვალა, ისევ დაუბრუნდნენ ფილო-ფრანგულ პოლიტიკას და ისევ გაჩნდა ბიზანტიის ხელახალი აღების იდეაც; ამასობაში, მარტინ IV, დაუფიქრებლად შეაჩვენებს იმპერატორ მიხეილს. იმპერატორი აღაშფოთა უღირსმა მოპყრობამ. არცერთ ბასილევსს არ გაუკეთებია ამდენი პაპებისთვის, ახლა კი, მიუხედავად ყველაფრისა, მტრების ამარა მიატოვეს და 20 წლის მანძილზე საგულდაგულოდ ნალოლიავებს არღვევდნენ. ასე ეკვეცებოდა ფრთები გრიგორი X-ის ოცნებას და მარცხს განიცდიდა იმპერატორის პოლიტიკა; თუმცა იმპერატორი მაინც ერთიანობის მომხრე დარჩა, მხოლოდ გააუქმა ყველა ის საზომი, რაც ლათინურის მიმართ გამოიყენებოდა და შეეცადა, თავაზიანი დამოკიდებულება დაემყარებინა ბერძნულ ეკლესიასთან, რაც ამჯერად ჰაერივით სჭირდებოდა. ბიზანტიაში ერთიანობის მომხრეთა ჯგუფი კრიტიკულად უდგებოდა ეკლესიის ერთიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს. პოლიტიკური კურსის ცვლილებამ ბიზანტიაში თითქოს წერტილი დაუსვა მიხეილ VIII-ის გეგმებს, მაგრამ მისი დიპლომატიური უნარი ისევ გამოადგათ ევროპული პოლიტიკის ინტრიგებში. ამჯერად, 1282 წლის 31 მარტს ფორტუნამ „vespri siciliani“-ის („სიცილიური მწუხრი“) მხარეს გადაინაცვლა. ეს იყო დიდი აჯანყება სიციალიაში ანჟუელთა დინასტიის ბატო-

ნობის წინააღმდეგ, რომელსაც ასევე ბიზანტიაც აფინანსებდა, რითაც წერტილი უნდა დასმოდა კუნძულზე ანჟუელების დინასტიის ბატონობას და ბიზანტიის წინააღმდეგ კარლ ანჟუელის ექსპანსიონისტურ მიზნებს. მიხეილის სიკვდილის შემდეგ (1281 წ. 11 დეკემბერი), მისი შვილი და მემკვიდრე ანდრონიკე მეორე მაშინვე დაგმობს მამის მრწამსს და დასავლეთთან ყოველგვარ კონტაქტს წყვეტს. სანამ თანა-იმპერატორის ფუნქციას ასრულებდა, იგი ყოველთვის ემორჩილებოდა მამის უნიატისტურ პოლიტიკას, თუმც არ იყო ამის მომხრე. მას არ დავიწყებია, რომ მამა, ერესისა და სქიზმის გამო, შეჩვენებული წავიდა ამქვეყნიდან და, სამშობლოში დაბრუნებული, პონტიფექსისადმი ერთგულების ფიცს აუქმებს. მან გადააყენა პატრიარქი იოანე ბეკოსი, ერთიანობის გულმოდგინე მომხრე, და მის ადგილზე თავის ძველ მეგობარს, იოსებს მოუხმო. 1274 წლის თებერვალში, კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი ლიონში, 6 ივლისს ფორმულირებულმა ერთიანობის აქტმა მხოლოდ მისი მომხრეების სიცოცხლეში იარსება. ნაცვლად იმისა, რომ საზეიმოდ განემტკიცებინა ერთიანობა, ლიონის კრებამ უფრო მეტად გააღრმავა პოლიტიკური და რელიგიური ხნული დასავლურსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის. რატომ განიცადა მარცხი ლიონის უნიამ? როგორც რომში, ასევე კონსტანტინოპოლში, თუკი ერთიანობა აუცილებელი და გადაუდებელი იყო, არჩეული მეთოდები, როგორც ადაპტირებული მოტივაციები, ვერ იქნებოდა გარანტია სამართლიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტილებებისთვის. უნიამ მარცხი განიცადა არა იმიტომ, რომ დიალოგი არ შედგა აღმოსავლურ ეკლესიასთან, არამედ იმიტომ, რომ მიხეილ VIII-მ მოინდომა, თავისი ეკლესიისთვის იძულებით მოეხვია თავს ერთიანობის იდეა და მოწინააღმდეგეთა დევნითა და შევიწროებით მიეღწია საწადელისთვის, რამაც პოზიციების რადიკალიზაცია გამოიწვია და შეიქმნა ძლიერი ანტიუნიატური ოპოზიცია. როგორც იმპერატორი, იგი ვალდებული იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა იმპერიისა და ეკლესიის ერთიანობა. ის იყო არა მებრძოლი იმპერატორი, არამედ დიპლომატი და, ალბათ, ყველაზე დიდი მმართველი, ვინც კი ოდესმე ჰყოლია ბიზანტიას. მიუხედავად მრავალი ნაკლისა, იგი ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი იმპერატორი. მის მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა მთელი მსოფლიო აღაშფოთა. მაგრამ ცოტა თუ შეძლებდა ასე დარწმუნებით ემართა იმპერია მისი ისტორიის ყველაზე სახიფათო პერიოდში. დამარცხდა არა იმიტომ, რომ რომში ამ დროს განსხვავებული იდეებისა და გამოცდილებების მქონე მრავალი პაპი ჩაენაცვლა ერთმანეთს, არამედ იმიტომ, რომ საბოლოოდ, რომის ეპისკოპოსმა ისურვა აღმოსავლეთზე თავისი საყოველთაო უფლების გავრცელება და აქედან დიდი სარგებლის მიღება; დამარცხდა პოლიტიკური ინტრიგების გამო, რასაც ვერ გაექცა და რისი მსხვერპლიც თავად აღმოჩნდა; დამარცხდა იმიტომაც, რომ დაუპირისპირდა ორთოდოქსულ ეკლესიას, ბერ-მონაზვნებსა და მორწმუნეებს, ნაცვლად იმისა, რომ, ერთიანობის გზების ძიებისას, მათთან ეთანამშრომლა. იმპერიის მართვისას, იგი არასწორ მეთოდებს იყენებდა, ჯიუტად იყო დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში და მხოლოდ ის სურდა, რომ მისი შინებოდათ; ერთიანობის რეალიზების მცდარი გზების ძიების პროცესში, მარცხი ასევე გამოწვეული იყო ლათინურ ეკლესიაში ოპოზიციის არარსებობის გამო; ახალი რელიგიური ორდენები ცდილობდნენ, პაპის პრიმატის შესახებ საყოველთაო განწყობა დადებითი ყოფილიყო, მაგრამ თუ ამ დოქტრინას დასავლეთი უპრობლემოდ იღებდა, მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის მისი მიღება შეუძლებელი იყო. საუკუნეების შემდეგ, პავლე VI, 1974 წლის 19 ოქტომბრის ერთ-ერთ წერილში იხსენებს, რომ ერთიანობა ასე გაიაზრებოდა: „არ მიცემოდა ბერძნულ ეკლესიას იმის ნება, რომ თავისუფლად გამოეხატა თავისი აზრი ამასთან დაკავშირებით. ლათინებმა, ფაქტობრივად, აირჩიეს ტექსტი და ფორმულა, რაც დასაბამს უდებდა დასავლეთში ჩამოყალიბებულ და შედგენილ საეკლესიო მოძღვრებას“. დამარცხდა იმიტომ, რომ ამას იგი ხან პოლიტიკური, ხანაც რელიგიური მიზნების მისაღწევად იყენებდა. XIII საუკუნე ისე სრულდებოდა, რომ ეკლესიათა ერთიანობისთვის არაფერი სახარბიელო არ გაკეთებულა. საბოლოოდ დამარცხდა არა პაპი, ან იმპერატორი, არა პარტია, ან რომელიმე ჯგუფი, დასამარდა დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების გაერთიანების მცდელობა. საბედნიეროდ, ამ მარცხის შემდეგ, მომდევნო ეპოქაში მალევე გაკეთდა ღრმა ანალიზი ყველა იმ მიზეზისა, რამაც გამოიწვია სქიზმა. მთელი XIV საუკუნე გაჯერებულია კონსტანტინოპოლის იმპერატორების მხრიდან ერთიანობის თემაზე მოლაპარაკებების გარკვეული მცდელობებით. ეს იყო ფორმალური შეხვედრები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1333, 1339, 1347 და 1355 წლებში. ის, ვისაც სურდა სქიზმის გადალახვა, უფრო ღრმად სწავლობდა საღვთისმეტყველო განსხვავებებს და ცდილობდა ეჩვენებინა, რომ არ არსებობდა მოტივი სქიზმის გასაგრძელებლად, რადგანაც როგორც ლათინური, ასევე ბერძნული დოქტრინა სრულ თანხმობაში მოდიოდა ღვთის სიტყვასთან. ხოლო შერიგების მოწინააღმდეგენი იმავე საკითხებს სწავლობდნენ და ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მეორე მხარის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები მცდარი იყო და ამიტომ მათთან საეკლესიო ზიარება არ შეიძლებოდა. გადამწყვეტი როლი კიდევ ერთხელ ითამაშა არა-თეოლოგიურმა ფაქტორმა. რამეთუ ის, ვისაც მკაფიოდ ჰქონდა გაცნობიერებული წარსულის კრიზისი, იოლად რწმუნდებოდა ბერძნებისა და ლათინების შეუთავსებლობაში, ხოლო ის, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთი დასუსტებულ ბიზანტიის იმპერიას პროტექციასა და დახმარებას გაუწევდა, ხშირად საპირისპირო თეზისებს იშველიებდა. ყველაფერი ეს ნახევარი საუკუნის შემდეგ, ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439), წინა პლანზე გადმოიწევს.

1274 წლის ერთიანობის მცდელობის შესახებ ფასდაუდებელი მოწმობა მოგვეპოვება, ორნავიანი არქიტექტურით აგებული ეკლესიის სახით, სადაც ერთი ნავი განკუთვნილია კათოლიკეებისთვის, ხოლო მეორე – მართლმადიდებელთათვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

სულთმოფენობა ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში

ბათუმის კათოლიკური ეკლესია სულიწმიდის სახელზეა აგებული, ამიტომაც სულთმოფენობის დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება ჩვენს საკრებულოში. წელს, ამ ზეიმზე ჩვენთან ერთად არ იმყოფებოდა ეკლესიის წინამძღვარი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი; იგი, მამა პიერ დიუმულენთან და მორწმუნეთა ჯგუფთან ერთად, მომლოცველობაში იყო კაპადოკიასა და ეფესოში. მიუხედავად ფიზიკური სიშორისა, ჩვენ თანაზიარებაში ვიყავით ჩვენს მოძღვართან და მორწმუნეებთან, ვლოცულობდით მათთვის და დარწმუნებული ვარ, ისინიც ლოცულობდნენ ჩვენთვის.

ბათუმში 27 მაისს თბილი და წყნარი დილა გათენდა. გულები სიხარულით გვქონდა სავსე, რადგან დღესასწაულზე ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

ზოგჯერ ზოგიერთი ახალგაზრდა მღვდლისაგან გაიგონებ: დროებით ვარ ჩამოსული, საქართველოში დარჩენას არ ვაპირებო. მე მათ ასე ვეტყოდი: „ძვირფასებო, მღვდლად კურთხევისას, თქვენ აღიბეჭდეთ ქრისტეს ბეჭდით და მოვალენი ხართ, ისევე ემსახუროთ ხალხს, როგორც ქრისტე ემსახურებოდა, არა აქვს მნიშვნელობა, საქართველოში იქნებით, პოლონეთში, რუსეთში, თუ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. თქვენ ამით დაიმსახურებთ მორწმუნეთა მადლიერებას, პატივისცემასა და სიყვარულს“. ასეთი მსახურების მაგალითია მამა ჯუზეპე. მას ხალხთან ურთიერთობის, ადამიანის სულის განჭვრეტისა და სიმართლის განცდის განსაკუთრებული ნიჭი გააჩნია და მორწმუნეთაგან უსაზღვრო ნდობას, სიყვარულსა და პატივისცემას იმკის.

მამა ჯუზეპეს წინამძღოლობით, ლამაზი წირვა ჩატარდა. დღესასწაულზე ჩვენთან ერთად იყვნენ მამა კარლო დისტეფანო და მონაზვნები, ლორედანა მონეტი და ანა მარია კრიველარი; ასევე, მორწმუნეების დიდი ჯგუფი შრომისა და ქუთაისის საკრებულოებიდან. წმიდა წირვას ესწრებოდნენ აგრეთვე სტუმრები სხვადასხვა ქრისტიანული საკრებულოდან და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც ყოველთვის, ეპისკოპოსის ქადაგება ახლაც გულში ჩამწვდომი და დამაფიქრებელი იყო. მიხაროდა, როდესაც ეკლესიაში სხვადასხვა ეროვნების მორწმუნეებს ვხედავდი. ეს იყო ჩვენი რწმენის – კათოლიკობის, მისი საყოველთაობის, ჭეშმარიტებისა და სიძლიერის დადასტურება.

წმ. წირვის დასრულების შემდეგ, სტუმრები მივიწვიეთ მამა გაბრიელ ასლანიშვილის სახელობის დარბაზში, სადაც გაიმართა ოთიკო მღებრიშვილის მიერ, მისივე სცენარით გადაღებული ფილმების ჩვენება. ამ ფილმებმა ბათუმსა და ახალციხეში პრიზები დაიმსახურა. ფილმებს დიდი მოწონება ხვდა წილად ჩვენს საკრებულოშიც. შემდეგ ახალგაზრდებმა გამართეს კონცერტი. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მოცეკვავეები, მომღერლები, მხატვრული კითხვის ოსტატები.

კონცერტის შემდეგ, ყველანი სუფრასთან მივიწვიეთ.

ეს დღე კიდევ ერთ სამახსოვრო, ლამაზ დღედ ჩაიწერება ბათუმის საკრებულოს ისტორიაში.

თენგიზ პარმაძსიზიშვილი

კათოლიკური ფესვების მქონე ქართველი ინგლისელი

დღევანდელი ჩვენი ჟურნალის განსაკუთრებული სტუმარია თეკლა ჯუღაშვილი, რომლის წარმომავლობა დაკავშირებულია ორ – დიდი ისტორიის მქონე – ქვეყნასთან – ინგლისსა და საქართველოსთან. მისი მამა – მირიან ჯუღაშვილი გახლავთ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის საგვარეულო ოჯახიდან. დედა – ქეით ლოიდი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დიდგვაროვანი ინგლისელი ლორდის, ცნობილი ენათმეცნიერის, პროფესორის, დოქტორ სტივენ ჰენრი ლოიდისა და მისი უდიდებულესობის, საქართველოს ბაგრატოვანთა სამეფო ოჯახის წარმომადგენლის – ქეთევან ერეკლეს ასული ბაგრატიონის ქალიშვილია.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ლორდი სტივენი საქართველოშიც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ქართველ კათოლიკეებს, განსაკუთრებით დაინტერესდა ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის ღვაწლით. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის განვითარების პროცესში, რის გამოც დიდი სიყვარილით მოიხსენიებენ ამჟამად უკვე პროფესორ-მასწავლებლები ბატონ ლორდ სტივენს.

რაც შეეხება თეკლა ჯუღაშვილს, იგი დაიბადა თბილისში, 1992 წლის 16 ივნისს. მან წარჩინებით (ვერცხლის მედალზე) დაამთავრა საჯარო სკოლა, ამჟამად სტუდენტია. მიუხედავად იმისა, რომ თეკლა მართლმადიდებლურ ოჯახში დაიბადა და ქართულ-მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა აღზრდილი (ლოიდები რომაულ-კათოლიკეები არიან), თეკლამ აგნატების (პატრიარქალური) ტრადიციით კათოლიკური სარწმუნოება აღიარა.

მან თავად აღწერა პირველი ზიარების შეგრძნება, რასაც ამ ნომერში ჩვენი ჟურნალის საშუალებით გთავაზობთ სათაურით – „უძღები შვილი“ ქრისტეს სერობაზე.

რედაქცია

▶ 14 გვ.

„უძღები შვილი“ ქრისტეს სერობაზე

„შიშისა და სიწმიდის გრძნობა განსაკუთრებული ძალით აძგერდება ჩვენში, თუ ვიხილავთ ღვთის დიდებულებას. ამ გრძნობებს განვიცდით, თუ მის სიახლოვეს შევიგნებთ. რამდენადაც გვწამს, რომ ღმერთი ახლოა, ვამჩნევთ კიდეც ამ გრძნობებს...“
/ჯონ ჰენრი ნიუმენი/

◀ 13 მარ.

10 ივნისს, კვირას, „მზის“ დღეს, ტრადიციისამებრ, შევიკრიბეთ წმიდა მოციქულთა – პეტრესა და პავლეს ტაძარში, რათა მონაწილეობა მიგვეღო ჩვენი მაცხოვრის, ქრისტეს ხორცისა და სისხლის დღესასწაულის აღსანიშნავად გამართულ ლიტურგიაში და, მირონცხებული ბავშვების პირველი ზიარების მსგავსად, ჩვენც მიგვეღო ქრისტეს მადლმოსილი სხეული...

თითქოს ჩვეულებრივად გათენდა, მაგრამ ეს ჩვეულებრიობა დასაწყისი იყო, ერთი შეხედვით, განუცდელი და ჯერ არარსებული შეგრძნებისა ჩემს ცხოვრებაში, რადგან მეც, სწორედ ამ დღეს, ოცი წლის დაგვიანებით, პირველად ვეზიარე ქრისტეს სიყვარულს... დაგვიანებით, თუმცა, როგორც გვასწავლის *„იგავი მეთერთმეტე ჟამის მუშაკზე“* – არასოდეს არ არის გვიან ღვთის სამსახურში ჩადგომა... ამ დღის შემდეგ, ბურუსით მოსილი და უშორესი წარსულივით მეჩვენება ჩემი განვლილი ცხოვრების წლები, რადგან უძღები შვილი *„მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“* (ლუკ. 15,32) და *„ასევე იქნება სიხარული... ერთი მომნანიებელი ცოდვილის გამო“* (ლუკ. 15,10). მივიღე მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და ზიარება სულისა წმიდისა, რომელიც მარადის დარჩება ჩემთან და ჩემში...

უჩვეულოდ ამაღლებული იყო წმიდა წირვა ამ დღეს, ეკლესია განსაკუთრებულად მორთული, ხოლო მღვდელნი და მრევლის წევრები საოცარი ხიბლით სავსენი, ამ ყველაფერს კიდევ უფრო ღვთაებრივ ელფერს მატებდა ქრისტეს სადიდებელი გალობანი და სხვადასხვა ენაზე გახმიანებული უფლის სიტყვანი... თეთრით მოსილი ბავშვები, ვითარცა ანგელოზნი, პურითა და ღვინის თასით ხელში, მაცილებდნენ საკურთხევლამდე, სადაც ჩვენი წინამძღვარი გველოდა... მან მიიღო ეს ძღვენი და აღავლინა სადიდებელი ლოცვა ქვეყნიერების მამისადმი, ძისა და სული წმიდის სახელით, და მიაგო მადლი, რადგან ღირს ვიქმენით მისგან ამ ძღვენისა... მუხლი მოვიყარე საგანგებოდ ჩემთვის გამოყოფილ ადგილზე და უეცრად უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი... ფიზიკური სხეულის შეგრძნება აღარ მქონდა... თითქოს სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, სადაც ლიტურგიული კრებული ქრისტესთან შესახვედრად მიმაცილებდა... ღრუბლებიდან კი ანგელოზთა გუნდი გალობით მამხნევებდა – *„გამხნევდი, ზეცის მემკვიდრევ...!“* სულს სიხარული, ან უკეთ რომ ვთქვათ, განუსაზღვრელი ბედნიერება ეუფლებოდა... გული უცნაურად და უჩვეულოდ ფეთქავდა, არა როგორც უეცარი შიშის, ან ნერვიული შეგრძნების დროს, არამედ როგორც დიადის, საბედისწერო ცვლილების მოლოდინისას, რომელიც, უსაზღვრო ბედნიერების გამო, ადამიანის გულში ფარავს ყველა სხვა გრძნობას, გარდა სიყვარულისა...

უმაღლესი ბედნიერება ჩვენი ცხოვრებისა არის რწმენა იმისა, რომ ვუყვარვართ ჩვენს შემოქმედს... ვუყვარვართ ჩვენდაუნებურად... ბრმაც რომ იყოს ადამიანი, უსინათლო არ ეთქმის, თუ სიყვარული ატკბობს ვინმესი... მერე როგორი სიყვარული!.. სათნოებით სავსე!.. რწმენა გქონდეს, თორემ მხედველობა საჭირო არცაა, – სული სულს ეძიებს და კიდეც ჰპოვებს... განა შეიძლება ამაზე დიდი ნეტარება?! შემოქმედისა და ქმნილების ურთიერთსიყვარული... უსინათლო რომ ვიყო, მთელი ქვეყნის სინათლეში არ გავცვლიდი ამ გრძნობას! ტაძარში, სადაც ყოველივე კაცებრივი დაქვემდებარებულია ღვთაებრივს, ხილული კი უხილავ რეალობას მოიცავს, რომლის წვდომაც მხოლოდ სარწმუნოებას ძალუძს, მქონდა რწმენის ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, საკურთხეველთან კი ღვთის უსაზღვრო სიდიადე სუფევდა... მივხვდი, რომ მმართავდა ვიღაც, რომელსაც არ გააჩნდა საზღვრები, ჰქონდა შეუზღუდავი შესაძლებლობები, – ყოვლისშემძლე იყო და სიყვარულით აღსავსე... ვერ ვხედავდი, მაგრამ ნათლად, მთელი ჩემი არსებით შევიგრძნობდი და ვიცოდი, რომ ის იყო ჩემი მაცხოვარი ღმერთი!.. და რომ ის მერჩია თვით ჩემს სიცოცხლეს... მართლაც, ჩვენი ცხოვრება ქარის ქროლასავითაა და ჩვენი ყველაზე ცხოველი სურვილი ხომ ამ ცხოვრების ქრისტესადმი მორჩილებასა და სიყვარულში გატარებაა იმგვარად, რომ დარწმუნებულნი ვიყოთ, იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც რომ არ დავშორდებით მას... ამიტომ, არაფერი იქნება ჩემთვის უფრო მტკივნეული, ვიდრე ის, რომ მასთან ზიარებაში არ ვიყო მუდამ... როგორც ყრმა იესოს მიმართავდა წმიდა ტერეზა: *„მიწიერი ტყვეობის შემდეგ, იმედი მაქვს, რომ სამშობლოში შენით ვიხარებ... მსურს, შენს სიყვარულში დავიხარჯო... შენი სიმართლით მსურს, შევიმოსო და შენი მარადიული სიყვარულით ვიყო მოცული...“* და მართლაც, – *„სხვა რა დასასრული უნდა იყოს ჩვენთვის, თუ არა მარადიულ სასუფეველში დამკვიდრება?!“* (წმ. ავგუსტინე).

როდესაც გავიგონე – *„სხეული ქრისტესი!..“* – ვიგრძენი, მოახლოვდა საბედისწერო წამი მთელი ჩემი არსების გარდაქმნისა და ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლისა, სრულიად ახალი, ქრისტესმიერი ცხოვრების გაცნობისა... მივიღე იგი და დავადასტურე სიტყვით – *„ამინ!“* თუმცა, შეკუმშული იყო ეს ყველაფერი დროში, მაგრამ უსასრულოდ დიდი თავისი რეალური მნიშვნელობით... მას შემდეგ, სულ სხვა თვალით ვუყურებ ყველაფერს და სულ სხვა გრძნობით ფეთქავს გული... გონებაში გაელვებულ კითხვებზე თავისთავად ჩნდებოდა პასუხები... მილოცავდნენ... მასაჩუქრებდნენ... არასოდეს დამავიწყდება მათი მომღიმარი სახეები, თბილი და კეთილი გრძნობით აღსავსე თვალები... თავად გადარჩენილნი, ანთებულნი იყვნენ სხვისი გადარჩენის სურვილით... წირვის დამთავრებამდე, წინამძღვარმა – მამა ადამმა მოგვიხმო ზიარებულნი და უფლის სერობის ხატი გადმოგვცა ჩვენი სახელების მითითებითა და თავისი ხელმოწერით... დასასრულს კი ▶

„INER-საქართველო“ ახალციხეში

2012 წლის 30 მაისს, ქალაქ ახალციხეში გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის – „INER-საქართველო – წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“ პრეზენტაცია. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ფართო აუდიტორიას გააცნეს ოჯახის ბუნებრივი დაგეგმვის, ჩასახული სიცოცხლის დაცვისა და სხვა მიმდინარე პროექტები.

პრეზენტაციაზე მოწვეულთა შორის იყვნენ: ახალციხეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასულიერო პირები, რეპროდუქტოლოგები, გინეკოლოგები, სიმპტო-თერმული მეთოდის მასწავლებლები და სხვა სტუმრები.

ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლალი ჩარკვიანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ორგანიზაციის დანიშნულებისა და მისი მუშაობის შესახებ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ; მან ისაუბრა, თუ რა სახის დახმარება შეუძლია გაუწიოს ორგანიზაციამ წყვილებს, რომლებიც სიცოცხლეს აძლევენ დასაბამს. „ჩვენი მხრიდან, ის ინფორმაცია, რასაც ყველა დაინტერესებულ ქალბატონს და წყვილს ვაწვდით, ვიდრე მეთოდის ბაზისი გახდებოდეს, მათთვის უდიდესი დახმარებაა; ეს მოქმედება პირველადი და აუცილებელი პოზიციაა, რათა გამოჩნდეს მოტივირებული მიზეზები, რაც პარტნიორებში დაკვირვებისა და პატივისცემის სულისკვეთებას წარმოშობს სიცოცხლის მექანიზმებთან მიმართებაში“, – აღნიშნა მან.

ქალბატონმა ნინო ჟღენტმა წარმოადგინა ის პროგრამები, რომლებსაც „INER-საქართველო“ ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს პროექტის ფარგლებში და ისაუბრა მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამებზე: „მშობელთა სკოლა,“ „ჯანმრთელობის სკოლა“, საადვოკატო მომსახურება, ფსიქოლოგის კონსულტაციები. ყველა ეს სამუშაო განსაკუთრებით მიმართულია ახალგაზრდებისადმი და მიზანმიმართულად ეხმარება მშობლებს შვილების აღზრდაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ი. როცერის – განაყოფიერების ბუნებრივი მოწესრიგების სიმპტო-თერმულმა მეთოდმა, რაც ამ ორგანიზაციის მუშაობაში პრიორიტეტს წარმოადგენს. საინტერესო იყო მეთოდის ექსპერტის, ქალბატონ ნანა ნებიერიძის გამოსვლა, რომელიც ეხებოდა აბორტის, კონტრაცეფციისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სხვა საშუალებებს. „ბუნებრივ მეთოდებს აქვთ ორმაგი ფუნქცია: გადაავადოს, თავიდან აიცილოს, ან გამოიწვიოს ორსულობა. ხოლო კონტრაცეპტული მეთოდი მოქმედებს ქალის ფერტილურობაზე, ანადგურებს მას; ორსულობის გადასავადებლად გამოყენებული კონტრაცეპტული მეთოდი იმ პერიოდს, რომელიც ბუნებამ წინასწარ შექმნა კავშირისათვის, არ გარდაქმნის რეპროდუქტოლოგიურად. ბუნებრივი მეთოდები კი აუმჯობესებენ წყვილთა ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური და სულიერი კავშირის ხარისხს“, – აღნიშნა ნ. ნებიერიძემ.

მანვე ისაუბრა ფერტილურობის ბუნებრივი მოწესრიგების მეთოდზე, როგორც ქალისათვის უსაფრთხო, ჯანსაღ და ეფექტურ მეთოდზე. რომ ის გამართლებულია, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე რელიგიურ-მორალური თვალსაზრისით.

პრეზენტაციამ ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის, რაც მათ მიერ დასმულ კითხვებში აისახა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხეში, უდესა და უნწაში ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომლებიც სწავლობენ და შემდეგ პრაქტიკაში იყენებენ დოქტორ იოსეფ როცერის სიმპტო-თერმულ მეთოდს.

მაკა ფეიძრიშვილი

◀ ტკბილი სუფრით გაგვიმასპინძლდა, მერე ლოცვანი და ჯვრები დაგვირიგა...

გულწრფელი სიხარულით იზიარებდა ჩვენს სიხარულს თავად მამა ადამიც... მისი სახის გამომეტყველება სიწმიდითა და მამობრივი მზრუნველობით იყო აღსავსე... სიმშვიდეს მგვრიდა მასთან სიახლოვე... ეს ხომ ბუნებრივია, რადგან იგი უფლის მსახურია და ჩვენი მოძღვარი, სულიერი მამა...

P.S. *მსურს, უდიდესი მადლობა გადავუხადო ეკლესიას, რომელმაც მიიღო „მონანიე ცოდვილი“... ყოვლადსამღვდელოებას, რომელმაც აღასრულა უფლის ნება... დამსწრე კრებულს, რომელმაც იზეიმა „უძღები შვილის დაბრუნება“... და, რა თქმა უნდა, მგალობელთა გუნდს, რომელმაც დააგვირგვინა ეს დღესასწაული „ღრუბლებიდან ღვთაებრივი გალობით“... და შევთხოვ უფალს, როგორც წმიდა ჟან მარი ვიანეი ლოცვისას: „უფალო, ერთადერთ წყალობას გთხოვ... მარადის მიყვარდე... თუ ჩემს ენას არ ძალუძს გამეორება, რომ მიყვარხარ, მსურს, რომ ჩემმა გულმა გაიმეოროს ეს ყოველი ძგერისას...“*

იესო კი მუდამ პასუხობს რწმენით აღსავსე გულის ვედრებას: ***– „მშვიდობით წადი, შენმა სარწმუნოებამ გაცხოვნა შენ!“***

თეკლა ჯუღაშვილი

შეხვედრა ორპირში

2012 წლის 2 ივნისს ორპირის ეზო და სახლი ბავშვების ჟრიამულმა და უფროსების ხალისიანმა ხმებმა გააცოცხლა. კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ წყვილები და არა მარტო წყვილები, რადგან შეხვედრის თემამ – „ბავშვების ქრისტიანული აღზრდა ოჯახში“ – დიდი ინტერესი გამოიწვია მათში, ვისაც შეხება აქვს პატარებთან, ან მომავალში ექნება.

საპატიო სტუმრის სტატუსით გვეწვია მამა ზიგმუნდი, რომელმაც ძალზე საინტერესოდ ისაუბრა და თეოლოგიურად განგვიმარტა ყველაფერი ის, რაც დიდაქტიკურად და პედაგოგიურად უკვე აპრობირებული და გამართლებულია. საკუთარი აზრის დაფიქსირება და შეკითხვის დასმა ყველას შეეძლო, თუმცა შეხვედრის მონაწილეები, ერთეულების გარდა, მაინც პასიურობდნენ; ალბათ, მამა ზიგმუნდის მოსმენა ერჩიათ, თუმცა შეეძლოთ, მისგან საკუთარ კითხვაზე საინტერესო პასუხი მოესმინათ.

წავიკითხეთ ამონარიდი თემიდან – „ღვთის ძიებაში მყოფი ბავშვები“, სადაც აღნიშნულია, რომ თითოეული ბავშვი ღვთის საჩუქარია ადამიანისადმი, ღვთის სიტყვაა განხორციელებული. მშობელი კი ვალდებულია, ამ უნიკალურობას ანგარიში გაუწიოს. ეს კი ყოველთვის ასე არ ხდება, რითაც ილახება ბავშვის პიროვნული ღირსება, რადგან ის ცდილობს იმ ჩარჩოში მოქცევას, რასაც მისგან ითხოვენ. ამ დროს კი იკარგება მისი, როგორც ინდივიდის, თვითმყოფადობა. იგი ხდება მუდმივად სხვაზე დამოკიდებული და კომპლექსები უყალიბდება, კარგავს რეალობის გრძნობას და საკუთარი თავის შესახებ მხოლოდ სხვისი აზრი აინტერესებს. სულ სხვაა, როცა ბავშვი კითხვას სვამს, ცდილობს, აღმოაჩინოს საკუთარი თავი და შეიცნოს სამყარო; ეძებს პიროვნებას, ვისაც სრულად და უპირობოდ მიენდობა. სწორედ მფარველობისა და ნდობის ფაქტორი განაპირობებს ღვთის ძიების პროცესს. რადგან სხვაგვარად ისინი ბედის ანაბარად იქნებიან მიტოვებულნი, შიში გაუჩნდებათ და გაუჭირდებათ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება. ბავშვებს სჭირდებათ ღმერთი, როგორც სტიმული, როგორც გამოწვევა, სხვაგვარად ინდივიდებად ვერ ჩამოყალიბდებიან. არადა, ჩვენი მთავარი მიზანიც ხომ მათი სწორ გზაზე დაყენებაა. წაკითხულმა მშობლები დააფიქრა, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ პატარებს, როგორ მიაწოდონ იფორმაცია ღმერთის არსებობაზე, როგორ შეარჩიონ საინტერესო ადგილები საბავშვო ბიბლიიდან, რომ მათთვის იოლად აღსაქმელი და მნიშვნელოვანი იყოს. ყველაფერი იმდენად მიმზიდველად და საინტერესოდ იყო მოწოდებული, პატარებიც კი დაინტერესდნენ, მერე კი, როცა დავალება – „როგორია ღმერთი თქვენს წარმოდგენაში და სად ცხოვრობს იგი“ – მიიღეს, ინტერესი გაუორმაგდათ და მთელი სერიოზულობით დაფიქრდნენ. შემდეგ გვიპასუხეს კითხვებზე და ბოლოს, ჩვენს თხოვნაზე, ნახატებით გადმოეცათ თავიანთი წარმოსახვა, სიხარულით დაგვთანხმდნენ, დასხდნენ ხალიჩაზე და ხატვა დაიწყეს, ყველაზე უმცროსი მათ შორის სამი წლის იყო, ისიც ხატავდა... მერე სათითაოდ გამოვიდნენ და დარწმუნებით აგვიხსნეს, ისე დარწმუნებით, რომ მათ ნათქვამში „ეჭვს ვერ შეიტანდი“. ბავშვებმა თავიანთი ჩანაფიქრისა და აზრების რეალიზება მოახდინეს, ერთი შეხედვით ისეთი უმნიშვნელო დეტალებიც არ გამორჩენიათ, ხანდახან უფროსები რომ არ ვითვალისწინებთ.

პატარა ანასტასიამ ხატვა დიდი წრეებით დაიწყო, რაც იმით ახსნა, რომ ქვეყანა დიდია და ღმერთი ყველგან უნდა იყოსო. დარეჯანმა ფურცლის შევსება ვერ მოასწრო და მტკივნეულად განიცადა, რომ არ გამოუვიდა. მშობლებმა იგრძნეს, თუ რა სურდათ ბავშვებს და როგორ შეძლებდნენ, დახმარებოდნენ მათ ღვთის ძიებაში. ბავშვები, რადგან ერთხელ ჩაერთნენ უფროსების საქმეებში, აღარ „მოგვშორდნენ“ და ექსპრომტად კონცერტიც მოგვიწყვეს.

მხიარული განწყობა სადილზე და მის შემდეგაც გაგრძელდა, მერე ეზომ რომ ვერ „დაგვიტია“, ტყეში გადავწყიტეთ გასეირნება. ქალაქის ყოველდღიურობას შეჩვეულები, ტყემ ისე მიგვიზიდა, აღარ გვეთმობოდა იქაურობა. ქვები სკამებად გამოვიყენეთ, ტოტები – საჩრდილობლად, მთები და ღრუბლები – საცქერად. სახელდახელო სარბენი ბილიკებიც მოეწყო და მხიარული სტარტიც ავიღეთ. ჯერ პატარებმა გაგვამხიარულეს, მერე კი, სუორა ანა მარიას აქტიურობით, უფროსებიც გავეჯიბრეთ ერთმანეთს.

როგორც იტყვიან, მეგობრობამ და სიყვარულმა გაიმარჯვა.

საღამოც მოახლოვდა და ჩვენც წამოსასვლელად გავემზადეთ, თუმცა არც ერთმანეთთან და არც ორპირთან განშორება არ გვინდოდა.

ისევ დავბრუნდით ჩვენს ქალაქში და არ გვშორდებოდა ფიქრები მფარველ ანგელოზსა და მოსიყვარულე ღმერთზე, ხელს ალერსით რომ მოგვხვევს და ყველგან გვერდით დაგვიდგება.

ნინო ჟღენტი

ქარწაღებული

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა.
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“

შოთა რუსთაველის ეს სიტყვები გაგახსენდებათ, როდესაც გაეცნობით იმ ქართველი მონაზონის ცხოვრებას, რომლის შესახებაც ახლა მოგითხრობთ:

ევგენია ეფრიკაშვილი დაიბადა ქ. ახალციხეში, 1898 წელს. მამას, ალექსი ეფრიკაშვილს დუქანი ჰქონდა იდუმალაში; დედა, მარიამ აბულაძე, დიასახლისი იყო. მშობლებს, ევგენიას გარდა, ხუთი შვილი ჰყავდა. 1910 წელს, დედამ სამი შვილი – ევგენია, ნინა და ელზა – განათლების მისაღებად წმიდა მარიამის სახელობის სტამბულის მონასტერთან არსებულ ქალთა პანსიონში გაგზავნა. ისინი ჯერ ლათინურ-გერმანულ ჯგუფში სწავლობდნენ, შემდეგ ლათინურ-ფრანგულ ჯგუფში გადავიდნენ. გოგონები ნიჭიერები და ბეჯითები იყვნენ, ამიტომ ისინი პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან არსებულ პანსიონში წარგზავნეს. სამივე გოგონამ ბრწყინვალედ იცოდა ათი ენა: ქართული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ბერძნული, რუსული, თურქული, სომხური, ესპანური. 15 წლის ევგენიამ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება ღმერთისთვის მიეძღვნა. ამიტომ, სტამბულში დაბრუნებული, მონაზვნად აღიკვეცა და იწოდა ბარნაბედ. იგი 16 წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. დედამ ახალციხის ბავშვთა სახლში დაიწყო მუშაობა აღმზრდელად. 1918 წელს ნინა და ელზა საქართველოში დაბრუნდნენ. მალე ნოე ჟორდანიამ და ნოე რამიშვილმა განაცხადეს, რომ ესაჭიროებოდათ ფრანგულის მასწავლებელი. გუვერნანტებად შერჩეულ იყვნენ ნინა და ელზა, რადგან მათ განათლება მიღებული ჰქონდათ პარიზში. ნინა მიიღეს ნოე რამიშვილის, ხოლო ელზა – ნოე ჟორდანიას ოჯახში. როდესაც საზღვრები იკეტებოდა, ნინამ წერილი გაუგზავნა ევგენიას თურქეთში, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში. ამ დროისათვის მონაზონი იტალიაში იმყოფებოდა. თურქეთში დაბრუნებულმა, წერილი წაიკითხა, მაგრამ უკვე გვიან იყო – საზღვრები ჩაკეტილი დახვდა.

წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესიაში

თავდაპირველად სამშობლოდან მოშორებულ გოგონას მიწერ-მოწერა ჰქონდა ოჯახთან. მაგრამ საბჭოთა პერიოდში უცხოეთში მიმოწერა მკაცრად კონტროლდებოდა. დასჯის საფრთხე ემუქრებოდა იმ ოჯახს, რომლის რომელიმე წევრიც წერილს გააგზავნიდა საზღვარგარეთ. ამიტომ ერთ-ერთ წერილში მონაზონს უმცროსმა დამ, ქსენიამ მისწერა, მე „მოვკვდიო“. ევგენია ჭკვიანი გოგონა იყო, ყველაფერს მიხვდა და წერილების გაგზავნა შეწყვიტა.

ევგენია მიხვდა, რომ საქართველოში ვეღარ დაბრუნდებოდა. გოგონა ბევრს ლოცულობდა ახლობლებისთვის, ღმერთს ევედრებოდა, სამშობლოში დაებრუნებინა, იმედს არ კარგავდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოახერხებდა ოჯახისა და ნათესავების ნახვას. ამიტომ იგი მუდამ წერილებს წერდა თავისთვის და კითხულობდა წმინდა მარიამის სახელობის სტამბულის მონასტრის ბიბლიოთეკაში არსებულ ქართულ ლიტერატურას, რათა მშობლიური ენა არ დავიწყებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ბარნაბემ მოღვაწეობა განაგრძო პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. აქაც მოძებნა ლიტერატურა მშობლიურ ენაზე. ტაძრის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნებიც იყო, ამიტომ ხშირად სტუმრობდა მას.

ევგენიამ მხოლოდ 1966 წლიდან გაანახლა მიწერ-მოწერა ნათესავებთან.

ბარნაბეს მოვლილი ჰქონდა ლურდის წმინდა ადგილები.

ევგენია საქართველოში ორჯერ იყო ჩამოსული: პირველად – 1969 წელს, მეორედ – 1972 წელს.

სამშობლოში დაბრუნებული მონაზონი დამ, ნინამ და ნათესავებმა მშობლიურ ახალციხეში წაიყვანეს. აწყურში, სასაზღვრო ზონის გავლისას, მესაზღვრეებმა ასაკოვან ქალბატონებს საბუთები არ შეუმოწმეს. ახალციხეში ჩასულებს, მეორე დღეს თავს დაადგნენ სუკ-ის თანამშრომლები. გულდასმით შეუმოწმეს საბუთები უცხოეთიდან ჩამოსულ ევგენიას, მაგრამ ვინაიდან მას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, თავი დაანებეს.

ევგენიამ თან ჩამოიტანა ფრანგულ ენაზე ნაბეჭდი ორი სქელტანიანი წიგნი. ერთ-ერთი მათგანი ლურდის ღვთისმშობლის სასწაულებს ეხებოდა.

სამშობლოში დაბრუნებულ ევგენიას ძმამ, პავლემ, შესთავაზა, დარჩენილიყო საქართველოში საცხოვრებლად, მაგრამ მან უპასუხა, რომ თუ ჩემს სულიერ დებსაც ჩამოიყვანთ, მაშინ დავრჩებიო, ვინაიდან მისთვის აქაური გარემო უკვე სრულიად უცხო იყო.

თბილისში ყოფნისას, ევგენიამ წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესია მოინახულა; ესაუბრა მამა კონსტანტინე საფარაშვილსა და მამა იან სნეჟინსკის.

მოხდა ერთი კურიოზული ამბავი: ევგენიამ დაინახა, როგორი წვალებით ამზადებდნენ ჭანჭურის ჯემს ნათესავები.

დებთან ერთად

შეეცოდა ისინი და თქვა, ვილოცებ, რომ ამ ხემ შემდეგ წელს ნაყოფი არ გამოიღოსო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მართლაც ასე მოხდა. გაოცებულმა ნათესავებმა ევგენიას შეუთვალეს, ელოცა, რომ ხეს კვლავ გამოეღო ნაყოფი. რა თქმა უნდა, მონაზონმა თხოვნა შეუსრულა ახლობლებს.

ერთხელ ევგენიამ, ახლობლებთან საუბრისას, ახსენა, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში არსებობდა 1910 წელს ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი მიხეილ თამარაშვილის წიგნი „საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე“. დის შვილიშვილმა, მადონა გოგოლაძემ მას უთხრა, რომ დიდ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებდა, თუ მოახერხებდა მის გამოგზავნას საქართველოში. უცნობია, როგორ მოაგვარა მონაზონმა ეს საკითხი, მაგრამ ზემოთ აღნიშნული წიგნი მან მართლაც გამოგზავნა სამშობლოში. მის ახლობლებს რამდენიმე დღით ჰქონდათ წიგნი სახლში, შემდეგ კი ჩააბარეს ახალციხის სახელმწიფო მუზეუმს.

ნათესავებმა ევგენიას დაათვალიერებინეს ვარძია. უცხოეთიდან ჩამოსული ქართველი მონაზვნის პატივსაცემად, საეკლესიო გუნდმა იგალობა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ბარნაბე მივლინებული იყო ვატიკანში. იგი რომის პაპს, პავლე VI-ს შეხვდა. არსებობს ფოტოსურათი, სადაც პაპი ხელს ართმევს მას. თუ ეს სურათი ვინმეს აქვს შენახული, ვთხოვ, სკანერის საშუალებით გადაიღოს მისი ასლი და გამომიგზავნოს ამ მისამართზე: mgikoshvili@yahoo.com

1973 წელს ბარნაბეს მონაზვნობის 60 წლის იუბილე მიულოცა რომის პაპმა პავლე VI-მ.

ევგენია ეფრიკაშვილი გარდაიცვალა 1985 წლის ნოემბერში. დაკრძალულია მარსელიდან აღმოსავლეთით, 20 კმ-ში მდებარე დაბა ჟემენოში.

მანანა გიქოშვილი

ეკუმენური გვერდი

ევროპის კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შესაჩ ფორუმი

ევროპის მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიების მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები ერთსულოვნად შეთანხმდნენ შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ლისაბონში, ა.წ. 5-8 ივნისს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეკონომიკურ კრიზისს და სიღატაკის პრობლემას. „კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ევროპულ ფორუმში“ დელეგაცია ორივე მხრიდან იყო წარმოდგენილი: სასიმის (Sassima) მართლმადიდებელი მიტროპოლიტი გენადიუსი (მსოფლიო საპატრიარქო); ესპანეთისა და პორტუგალიის მიტროპოლიტი პოლიკარპე (მსოფლიო საპატრიარქო) და მოსკოვის, სერბეთის, რუმინეთის, საქართველოს, კვიპროსის, პოლონეთისა და ალბანეთის საპატრიარქოს წარმომადგენლები; ასევე წარმოდგენილი გახლდათ კათოლიკური მხარე. დელეგაციას მეთაურობდა კარდინალი პეტერ ერდო, ბუდაპეშტ-ესტცერგომის (Esztergom-Budapest) მთავარეპისკოპოსი; ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს პრეზიდენტის წარმომადგენლები, რომელთა შორის გახლდათ მონსინიორ თადეუშ კონდრუშევიჩი, მინსკის მთავარეპისკოპოსი (ბელორუსია); მონსინიორ პაოლო პეცი, მოსკოვის ღვთისმშობლის სახელობის ეპარქიიდან და მონსინიორ მანსუეტო ბიანკი, პისტოიას ეპისკოპოსი.

დღის განრიგი შედგენილი იყო ლოცვისა და სამუშაო პროცესის მონაცვლეობით. კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა პირველი ევროპული ფორუმი გაიმართა 2008 წელს, იტალიაში, ქ. ტრენტოში, თემაზე: „ოჯახი – კაცობრიობის სიკეთე“, II ფორუმი კი 2010 წელს, საბერძნეთის კუნძულ როდოსზე, თემაზე: „ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა“.

ფორუმი დახურულ კარს მიღმა წარიმართა, მაგრამ გარეთ დარჩენილ ადამიანებში საკუთარი ხალხის გაჭირვებაზე საუბრის დიდი სურვილი იგრძნობოდა. „საბერძნეთში, – განაცხადა მიტროპოლიტმა გენადიუსმა, – პოლიტიკოსებმა დაკარგეს თავიანთი ხალხის ნდობა. მრავალი ადამიანი გაფიცულია, მრავალმა დაკარგა სამსახური, მრავალში გაქრა ყოველგვარი იმედი და ბევრი თვითმკვლელობამდეც კი მივიდა. ეკლესია იზიარებს მათ ტანჯვას“.

რთული ვითარებაა პორტუგალიაში: „გაჭირვებულები, – განაცხადა ლისაბონის კათოლიკე პატრიარქმა, ხოსე კრუზმა, – არიან ისინი, რომლებიც ყველაზე დიდ საფასურს იხდიან. მთავარი პრობლემა სამუშაოს არარსებობაა. ჩვენთან უმუშევრობამ ჯერ არნახულ ზღვარს მიაღწია. გასულ წლამდე უმუშევრების რიცხვი 10% იყო, ამჟამად კი 16%-ია“.

„უნგრეთში, – გვაუწყებს ბუდაპეშტ-ესტცერგომის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი პეტერ ერდო, – საშუალო ხელფასი ძლივს აღწევს რიგითი გერმანელის ხელფასის 20%-ს, მაშინ როცა სამომხმარებლო საქონლის ფასები თანაბარია“.

შექმნილ ვითარებას ორივე მხარე ერთნაირად აფასებს და აანალიზებს; მართლმადიდებლები და კათოლიკეები ასევე ▶

◀ ერთსულოვნად ასახელებენ ამჟამინდელი კრიზისის წარმომშობ მიზეზებს. ისინი არ არიან ეკონომისტები, მაგრამ რეალობას განსხვავებული თვალით უყურებენ, ვიდრე ფინანსისტები და ეკონომიკის ექსპერტები. ამტკიცებენ, რომ საფრთხეშია არა საფინანსო ბირჟა, არამედ „ადამიანის გული“, რამეთუ ეს კრიზისი იმ სამომხმარებლო და საფინანსო კულტურის მემკვიდრეა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს, „პროდუქტებით შეავსოს არსებობის სიცარიელე“, ცხადია, წარუმატებლად. მთავარეპისკოპოსი ათენაგორას სინოპელი (მსოფლიო საპატრიარქო) ხაზგასმით აღნიშნავს: „ჩემს სამშობლოში, ბელგიაში, ყოველდღე, დაახლოებით ექვსი ადამიანი იკლავს თავს. ადამიანები მარტოობის გამო იღუპებიან. როგორც არასდროს, ისე სჭირდება ხალხს სიცოცხლის აზრის შეცნობა“.

გამოსავალი?.. ეპისკოპოსებსა და მიტროპოლიტებს საკმაოდ ნათელი იდეები აქვთ. ეკონომიკის ცენტრში უნდა დადგეს ადამიანი, რაც ნიშნავს ისეთი ეკონომიკური დინამიკის განვითარებას, როცა საჯარო ვაჭრობაში ანგარიში არ გაეწევა მხოლოდ მცირეთა – საბირჟო თუ დიდი მულტინაციონალური კომპანიების – ინტერესებს. მეორე გზა არის ფინანსების შემცირება რეალურ ეკონომიკაში და განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. შემდეგ უმუშევრობის გლობალური პრობლემა, რამეთუ ის ფაქტი, რომ ევროპაში მილიონობით ადამიანია უმუშევარი, გაცილებით სერიოზულია იმ ფინანსურ ზრდასთან შედარებით, რომლის ინტერესში მხოლოდ საფინანსო ბირჟა და მოსახლეობის უმცირესი ნაწილი შედის.

ეკლესია ხმას მხოლოდ სიღატაკისა და ეკონომიკური კრიზისის გამო არ იმაღლებს. არის მსოფლიოში ისეთი ქვეყნები, სადაც მეწარმეობის ალტერნატიულ ფორმებს მიმართავენ; ეს ის სამყაროა, რომელიც არსებობს და რომელიც უნდა გავიცნოთ. ეს ქვეყნები ქრისტიანული კულტურით არის ნაკვები და დღეს ისინი უმკლავდებიან ეკონომიკურ კრიზისს.

რამდენიმე ამონარიდი სიმპოზიუმის ზოგიერთი მონაწილის ინტერვიუდან: კარდინალი პეტერ ერდო, ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს პრეზიდენტი: „შეხვედრის მთავარ მიზნად არ დაგვისახავს ტექნიკური გამოსავლის ძიება, არამედ ჩვენს რწმენაზე დამყარებული პასუხების მოძიება, ვინაიდან ნათელია, რომ ეკონომიკური კრიზისისა და სიღატაკის პრობლემასთან გასამკლავებლად კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიას ერთნაირი ბაზა აქვს. ჩვენ დავინახეთ, რომ ეკონომიკა მხოლოდ მათემატიკური ტექნოლოგიის, ან აბსტრაქტული ფინანსების ბაზაზე არ უნდა არსებობდეს, მას ძლიერი კავშირები უნდა ჰქონდეს, პირველ რიგში, რეალურ ეკონომიკასთან....ჩვენ რეალობიდან მოწყვეტის საშიშროების წინაშე ვდგავართ: რეალური ეკონომიკიდან მოწყვეტილი ფინანსები; რეალური ეკონომიკა, რომელიც სახელმწიფოსგან და საზოგადოებისგან გამიჯნულია; პიროვნება, სახელმწიფო და საზოგადოება ერთმანეთისაგან გამიჯნულია. ამგვარი „გამიჯვნები“ რომ დავძლიოთ, კარდინალი აუცილებლობად მიიჩნევს, რომ გაძლიერდეს „ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, სადაც პიროვნებას განუვითარდება პასუხისმგებლობის უნარი, ისწავლის სხვის პატივისცემასა და სიყვარულს“. ამასთანავე, უფრო მეტად უნდა დაფასდეს „ადამიანის შრომა, როგორც კეთილდღეობის წყარო და ნიშანი“, და „გაღრმავდეს ჩვენი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე“. „ამჟამინდელი კრიზისი ყველა ადამიანში უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობის გრძნობას. საზოგადოება პიროვნებაზე მაღლა აყენებს ეკონომიკურ ინტერესებს. კრიზისის საფუძველში „დევს ძირეული მიზეზები“, – განაცხადა კარდინალმა ერდომ, და მიანიშნა ეკონომიკის განვითარების ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც გაამყარებს „ავთენტიკურ ქრისტიანულ ცხოვრებასა და ეკონომიკურ სამყაროს შორის არსებულ კავშირს“. „ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ამჟამინდელი ეკონომიკური დეგრადაცია, რაც საზოგადოების მოწყობის მოდელს ეჭვქვეშ აყენებს, აისბერგის ერთი წვერია, და რომ გაცილებით ღრმაა მისი ძირი. ამ კონტექსტში, – დასძინა მან, – პოლიტიკა და ეკონომიკა, ასევე ტექნოლოგია, არ დგას პიროვნებისა და მისი სიკეთის სამსახურში, ან არაადამიანურ ხასიათს იძენს და ნაცვლად იმისა, რომ ადამიანს ბედნიერება მოუტანოს, ანადგურებს მას“. „სწორედ ამიტომ, – დაასკვნა მან, – პიროვნება ვერასდროს განიხილება უბრალო ციფრად, ან სხვა მიზნის მისაღწევ საშუალებად; ადამიანს, როგორიც არ უნდა იყოს მისი წარმოშობა, ან სოციალური მდგომარეობა, უნდა მოვეპყროთ, როგორც ღირსეულ პიროვნებას“. ამდენად, ევროპის ეპისკოპოსთა თავმჯდომარის აზრით, კრიზისის დასაძლევად განსაკუთრებით საჭიროა „სიყვარულის ხელახალი შესწავლა“. „მხოლოდ და მხოლოდ „სიყვარულის ეკონომიკას“, – დააზუსტა მან, – რომელიც ემსახურება ადამიანს, საზოგადოებას, ძალუძს ამ რთულ სიტუაციასთან გამკლავება“.

ესპანეთისა და პორტუგალიის მიტროპოლიტის, პოლიკარპეს აზრით, „ვერ შევძლებთ რეალურ განვითარებას და ვერ მოვიპოვებთ სიმშვიდეს, თუ ღმერთს, ყოველი სიკეთის ერთადერთ წყაროს, დავშორდებით. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ჯუნგლების კანონი მოქმედებს. ჩვენ აპოსტასურ ეპოქაში ვცხოვრობთ და ეკონომიკური კრიზისი ჩვენს გამოცდად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც გვიხმობს ღვთის განგებულებაში, ადამიანთა კეთილი და ერთგული მეგობრის მკლავებში დასაბრუნებლად“. „ქრისტიანული ფესვების გარეშე დარჩენილ ევროპას, – განაცხადა მიტროპოლიტმა, – მომავალი არა აქვს. ბევრს ცდილობდნენ და კვლავაც ცდილობენ, თუმცაღა წარუმატებლად, ევროპის გაერთიანებას, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. ელემენტი, რომელიც ევროპას აერთიანებს, არის არა ევრო, არამედ უკვდავი ქრისტიანული და ბერძნულ-რომაული სული, როგორც მრავალგზის აღუნიშნავთ ეს ერთიანი ეკლესიის მამებს“.

მონსინიორ დუარტ და კუნა, Ccee-ს (Consilium Conferentiarum Episcoporum Europae – ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭო) გენერალური მდივანი, აცხადებს, რომ კრიზისის დასაძლევად საჭიროა ურთიერთგაგება, რომელიც ტექნიკურ ანალიზზე მეტია. „მნიშვნელოვანია, ქრისტიანებმა ერთად იმსჯელონ ამჟამინდელ ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისზე და ჩაწვდნენ ამ კრიზისის ფესვებს, რათა გაიგონ, რამდენად ძალუძთ ერთობლივი თანამშრომლობა ამ სიტუაციიდან ხალხისა და საზოგადოების გამოსაყვანად. შევეცადოთ, რომ ქრისტეს დარად დავდგეთ ისტორიის შუაგულში“. მონსინიორ კუნა თვლის, რომ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ევროპული ფორუმის მიზანია, „ერთად შეკრიბოს კათოლიკეები და მართლმადიდებლები, რათა იმსჯელონ იმ სოციალურ და საეკლესიო თემებზე, რომელთაც ადგილი აქვთ საზოგადოების ცხოვრებაში“.

მიტროპოლიტმა გენადიუსმა აღნიშნა, რომ „პატრიარქი ბართოლომეო, რამდენადაც პირველი სულიერი ლიდერია მართლმადიდებელ პრიმატებს შორის, დიდ ყურადღებას უთმობს ნებისმიერ „დიალოგს“, რომელსაც ხორცი ესხმება ქრისტიანულ ეკლესიებში, და განსაკუთრებით, კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა საერთაშორისო თეოლოგიურ დიალოგს, ასევე, აქტუალურ ევროპულ ფორუმს, რომელიც ღვთის კურთხევით თავის მესამე თავყრილობამდე მივიდა“.

L'osservatore Romano

საერთაშორისო თეოლოგიური კონფერენცია

იერუსალიმის მნიშვნელობაზე ქრისტიანულ თეოლოგიასა და საეკლესიო პრაქტიკაში

საქართველოში, ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის ინიციატივით, 6 და 7 ივნისს კიდევ ერთი საერთაშორისო მასშტაბის საინტერესო სამეცნიერო-თეოლოგიური ფორუმი ჩატარდა თემაზე: **„იერუსალიმის (სიონის) მნიშვნელობა ადრექრისტიანული ეკლესიის თეოლოგიასა და საეკლესიო პრაქტიკაში (I-VIII საუკუნეები)“.** იერუსალიმის მნიშვნელობასა და როლზე მსჯელობა ქრისტიანული, და არა მხოლოდ ქრისტიანული, საეკლესიო სინამდვილისათვის ახალი არ არის და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს თემა არც არასდროს დაკარგავს ინტერესსა და აქტუალობას კაცობრიობისათვის.

მართლაც, მსოფლიოში არ არსებობს ქალაქი, რომელსაც ამდენი ვნებათა ღელვა, სიყვარული, იმედი და, ამავე დროს, შემოსევა და აოხრება გადაუტანია, რამდენიც იერუსალიმს. არ არსებობს ქალაქი, სადაც სამი უმთავრესი რელიგიის (მათ შორის, ორი მსოფლიო რელიგიის), იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმთა საუკუნეობრივ ბრძოლას წმინდა ქალაქის ფლობისათვის, მოჰყოლოდეს ამდენი ბრძოლა და სისხლისღვრა, ესოდენი ვნებათა ღელვა, სიყვარული და თავგანწირვა. ასე სასტიკად არც ერთი ქალაქი არ აუოხრებიათ. და ალბათ, არც სხვა ქალაქი განუდიდებიათ ასე, როგორც სიონი. სამი ათასი წლის წინ, მეფე დავითი ფსალმუნებით ადიდებდა იერუსალიმს და ამ საგალობლებს საუკუნეებია, ყოველდღიურად გალობს მილიონობით მორწმუნე იუდეველი თუ ქრისტიანი.

გაჭირვებაში მყოფი და უსახსროდ დარჩენილი ქართველი მეფეები და მთავრები, თავად ურიცხვი მტრით გარშემორტყმულნი, მცირე საგანძურიდან უკანასკნელ ძვირფასეულობებს სწირავდნენ იერუსალიმის წმინდა მიწაზე აღმართულ ქართულ ტაძრებსა და მონასტრებს. გაჭირვებისა და შორეულ გზაზე მრავალი საფრთხის მიუხედავად, წმინდა ქალაქის მომლოცველობაზე ოცნებობდნენ ერისკაცნი თუ მღვდელ-მონაზონნი. დღემდე, ყველა ქართველს სწამს, რომ იერუსალიმშია დიდი შოთა რუსთაველის განსასვენებელი და უკლებლივ ყველა თანამემამულე ოცნებობს ბერძენთა მიერ მიტაცებული ქართული ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე.

წინასწარმეტყველი მუჰამედი, იერუსალიმისაკენ პირშექცეული ლოცულობდა 622 წელს მედინაში გადასახლების (ანუ ჰიჯრა) დრომდე. მირაჯის სასწაულებრივ ღამეს აქედან იქნა აყვანილი ზეცაში ღმერთთან. ეს არის ქალაქი, რომლის მონახულებასაც მსოფლიოს ყველა მხარის მილიონობით ადამიანი ცდილობს, ქალაქი, რომლის მკვიდრნიც ღმერთის სიახლოვესაც მუდმივად გრძნობენ და ქალაქი, რომლის მაცხოვრებლებიც მუდმივად იმყოფებიან საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის ქვეშ; ეს არის იერუსალიმი, რომლის მისამართითაც სამი ათასი წლის წინ წარმოთქმული ფსალმუნის ფრაზა, – „თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა“, – ახლაც არ კარგავს აქტუალობას.

იერუსალიმში ქრისტიანული აღმსარებლობის თითქმის ყველა ეკლესიას აქვს თავისი წარმომადგენლობები, ტაძრები და მონასტრები. წმინდა მიწაზე წარმოდგენილი მრავალი მისიის წევრები თეოლოგიური, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობითაც არიან დაკავებულნი. აქ თავისი მეცნიერული საქმიანობით ყველაზე მრავალრიცხოვანი და გამორჩეული...რომის კათოლიკე ეკლესია და მისი სასულიერო ორდენებია. ამ ორდენებში მოღვაწე სასულიერო პირები ნაყოფიერად უთავსებენ ერთმანეთს ღმრთისმსახურებას, უშუალოდ საეკლესიო საქმიანობასა და სამეცნიერო კვლევებს. ამიტომ ნებისმიერი სამეცნიერო-თეოლოგიური ფორუმის ორგანიზატორები, მით უმეტეს, თუ ეს ფორუმი იერუსალიმსა და საეკლესიო პრაქტიკაში მის როლს ეხება, ცდილობენ იერუსალიმში მეცნიერებაში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირების მოწვევას. იერუსალიმის მნიშვნელობისადმი მიძღვნილი თბილისის საერთაშორისო თეოლოგიური კონფერენციაც მნიშვნელოვანი გახლდათ იმიტომაც, რომ მასში, ქართველ და დასავლეთ ევროპელ მკვლევარებთან ერთად, იერუსალიმიდან მოწვეული მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

იერუსალიმის თემატიკაზე ორგანიზებული თბილისის კონფერენცია წარმოადგენს საერთაშორისო თეოლოგიური კონფერენციების ციკლის გაგრძელებას, რომელიც დაიწყო 2009 წელს, თემით: „ასურელი მამები“ და გაგრძელდა 2010 წელს – „კაბადოკიელი მამები“. პირველ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული გასულ წელს გამოიცა წიგნის სახით. გასულ წლებში სამეცნიერო-თეოლოგიური კონფერენციების ორგანიზატორ-მასპინძლები იყვნენ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, რომის კათოლიკე ეკლესია საქართველოში და ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. წელს მათ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიაც შეუერთდა.

„ამ წამოწყების მიზანი მხოლოდ აკადემიური ინტერესი არ არის. ასეთი კონფერენციები ხელს უწყობს ადრექრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე აწყობილ ინტერ-დენომინაციურ დიალოგს საქართველოში“, – აცხადებენ ორგანიზატორები. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა (ამ ცენტრის წევრები არიან აქ დასახელებული ეკლესიები), აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), საქართველოს გაეროს ასოციაციამ (UNAG), რომლის პროექტის – „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ – (ANI) ფარგლებშიც მოხდა კონფერენციის ბიუჯეტის გარკვეული ნაწილის დაფინანსება.

კონფერენცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, აზია-აფრიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა. მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგი თევზაძე; მამა გაბრიელე ბრაგანტინი – რომის კათოლიკე ეკლესია; ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე – საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია; ეპისკოპოსი ჰანს იოაჰიმ კიდერლენი – ევანგელურ-ლუთერული ეკლესია და პროფესორი ვაჟა ვარდიძე – სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, პირველი მოხსენებით, თემაზე: „იერუსალიმის როლი რომის ეკლესიისათვის I-V საუკუნეებში“, გამოვიდა იერუსალიმის დომენიკელთა ორდენის მონასტრის მღვდელმსახური, ცნობილი მკვლევარი, პროფესორი, **მ. ნიკოლას-ჟან პერეტი**, რომელიც მამა პიერ დიუმულენმა წარადგინა. მოხსენებამ, რომელიც მდიდარი ვიზუალური მასალის დემონსტრირების ფონზე ხდებოდა, და რომელსაც შესანიშნავ სინქრონულ თარგმანს უწევდა ვასილ კობახიძე, გულგრილად არ დატოვა მსმენელები.

მეორე მოხსენება გახლდათ „უფალს სურს, რომ ვიმოგზაუროთ – ქრისტიანული ტოპოგრაფიის ელემენტები IV საუკუნეში“, მომხსენებლები: გერმანელი მეცნიერი, პროფესორი **ანდრეას მიულერი** და დოქტორი **დანიელ მურკუიუანესი**.

მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი მკვლევრებიც: ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი** – „უძველესი ქართული ევლოგიონი“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი **ნუგზარ ბარდაველიძე** – „იერუსალიმი – ქრისტიანული პილიგრიმობის სათავეებთან“.

კონფერენციის მეორე დღეს მოხსენებებით გამოვიდნენ იტალიელი პროფესორი **სილვიო ბარბალია** – „ხელახალი ანალიზი მესიის დამოკიდებულებისა წმინდა ქალაქთან“; გერმანელი პროფესორი **მარტინ ტამკერი** – „იერუსალიმი ყველგანაა“ (მაკარიოსის სწავლებაზე დაყრდნობით). აგრეთვე ქართველი მეცნიერი, პროფესორი **ლილი ხევსურიანი**, ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო მოხსენებით – „იოანე ზოსიმეს კალენდრის წყაროები“.

კონფერენცია დასრულდა ეპისკოპოს **ჰანს-იოაჰიმ კიდერლენის** მოდერაციით ჩატარებული „მომხსენებლების პოდიუმი“-თ, რომლის დროსაც საინტერესო, ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა მსმენელთა ფართო აუდიტორიის აქტიური თანამონაწილეობით. ამ დისკუსიის დროს, გამოიკვეთა ქართული საზოგადოებისათვის საკმაოდ აქტუალური საკითხები. კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ მომავალი კონფერენციის თემა ამ სურვილებისა და ინტერესების შეჯერების გათვალისწინებით დაიგეგმოს. ასევე გადაწყდა, რომ გაერთიანდეს წლევანდელი და 2010 წლის კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და მიმდინარე წელსვე ერთ კრებულად გამოიცეს.

ვუსურვოთ მშვიდობა იერუსალიმს! – მონაწილეთა ამ მოწოდებით დამთავრდა ეს საერთაშორისო კონფერენცია და დარბაზში მყოფნიც ერთხმად შეუერთდნენ 121-ე ფსალმუნში გახმიანებულ ამ მარადიულ მოწოდებას.

კორესპონდენტი

ხორვატი კათოლიკეები და სერბი მართლმადიდებლები წარსულის „იარების“ მოსაშუშებლად

„პატივისცემითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაფიქრებაა საჭირო წარსულის ყველა მოქმედებაზე“, რამეთუ „მხოლოდ ასე შეიძლება იარების მოშუშება და მომავლისთვის თვალის მშვიდად გასწორება“, – წერენ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი, პატრიარქი ირენეო და ზაგაბრიის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი იოსებ ბოზანიკი კომუნიკეში, რომელიც მიიღეს ზაგაბრიაში, 8 ივნისს სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის რამდენიმე წევრისა და ხორვატიის საეპისკოპოსო კონფერენციის წარმომადგენლების შეხვედრაზე.

„შეხვედრის მონაწილეებს, როგორც მორწმუნეთა და თავიანთი ქვეყნის მოქალაქეთა მწყემსებს, შეგნებული აქვთ, რომ წარსულის შესახებ მრავალი კითხვა კვლავ რჩება შემაფერხებელ გზად“; ამიტომ დასძენენ: „აუცილებელია, რომ, როგორც არასდროს, ნათელი მოეფინოს მოვლენებს, რასაც ჯერ კიდევ საკმარისი გულისხმიერებით არ ეკიდება საზოგადოება, როგორც ხორვატიაში, ასევე სერბეთში“. აქედან გამომდინარე, ეპისკოპოსებმა „მხარდაჭერა“ აღმოუჩინეს ყველა კომისიას, რომელიც იძიებს კომუნისტური რეჟიმის კრიმინალურ ფაქტებს და ამ რეჟიმის მსხვერპლთა სამარხები საზეიმო ვითარებაში ყვავილებით შეამკეს.

კომუნიკეში ასევე გაცხადებულია საგულისხმო მოწოდება: „სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების პასუხისმგებელი პირების მიმართ. ასევე ყველა იმ ადამიანის მისამართით, ვისაც რაიმე ინფორმაცია მოეპოვება გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბრძოლებში დაღუპულ პირებზე, რომლებიც ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლებიან, რათა დაეხმარონ მათ მოძებნაში, ან მიაწოდონ ინფორმაცია მათი საფლავების შესახებ“. „ეს საოცრად ადამიანური და გულისხმიერი ნაბიჯია იმ ოჯახების დასახმარებლად, – წერენ კათოლიკე და მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, – რომლებიც, აგერ უკვე ოცი წელია, ისევ ტკივილით ცხოვრობენ... ყველას მიმართ, ვინც გლოვასა და მწუხარებაშია, ეპისკოპოსები არა მხოლოდ თანაგრძნობას გამოხატავენ, არამედ პირდებიან მათ თანადგომას, ქრისტიანულ მხარდაჭერას და მათი მწუხარების გაზიარებას“. წარსულის იარების მოშუშების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს „სამართლითა და თანასწორუფლებიანობით“, აქედან გამომდინარე, ეს თემა უნდა განიხილონ „სახარების შუქზე“. კომუნიკეს დასკვნით ნაწილში გამოხატულია სურვილი იმისა, რომ ზაგაბრიის შეხვედრა „არის ორივე ეკლესიის საერთო ძირითადი ქრისტიანული ფასეულობების დამოწმება“.

შეხვედრის დასასრულს, პატრიარქმა კარდინალს უსახსოვრა ჯვარი; ასეთ ჯვარს სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ჩვეულებრივ, ყველაზე გამოჩენილ პიროვნებას ჩუქნის; თავის მხრივ, კარდინალმა პატრიარქს სახსოვრად გადასცა ქალაქ ზაგაბრიის მფარველის, ღვთისმშობლის უნიკალური ეგზემპლიარი „ქვის კარიბჭის ღვთისმშობელი“ (R.P.).

L'osservatore Romano

მადლობა

ბატონებო და ქალბატონებო!

მსურს, გამოვხატო მადლიერება და ღრმა პატივისცემა კათოლიკე სასულიერო და საერო პირების მიმართ. მადლობა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, რომელმაც თანაგრძნობა გამოიჩინა და ნება დამრთო, წერილობით მიმემართა „საბას“ მკითხველისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ჩემი ვაჟიშვილი – ჯონი (იოანე) ასიტაშვილი 23 წლისაა და უკვე სამი წელია სასჯელს იხდის რუსთავის მე–16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იქ მას საშუალება ჰქონდა, ციხის ბიბლიოთეკის ბაზაზე შეექმნა, შეესრულებინა და CD დისკზე ჩაეწერა კლასიკური ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები – „Loneliness in the dark“, რომელიც შემდეგ მიუძღვნა აშშ–ს მოქალაქეს, კათოლიკური ეკლესიის სასულიერო პირს, ძმა ჩარლზ კისტონს, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს რომში Secretari – Losallion Family & Association FSC. Roma. Italia.

როდესაც მან შემთხვევით ჯონის მუსიკა მოისმინა, მიღებულმა შთაბეჭდილებებმა შთააგონა, რომ საოცარი სიტყვები მიეწერა მისთვის უცნობი ახალგაზრდისთვის – პატიმრისთვის. მისმა ამაღლებულმა ცნობიერებამ დაინახა პატიმრის სულიერი სამყარო. წერილი სავსეა თანაგრძნობით, მიტევებით, ნუგეშითა და იმედით. ის დაწერილია დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, მაღალი ზნეობის ადამიანის მიერ (მიმოწერა დღესაც გრძელდება).

მადლობა კათოლიკურ ეკლესიას და მის წიაღში მოღვაწე Secretari – Losallion Family & Association FSC–ს წევრებსა და ძმებს; ძმა ჩარლზ კისტონს.

და ბოლოს, ყველას გთხოვთ, მიუტევოთ ჩემს შვილს, რადგანაც მიტევება არის ერთადერთი გზა, რაც მას გადაარჩენს.

გიორგი ასიტაშვილი



ძმა ჩარლზ კისტონი

განუსვენე მათ, უფალო!



სიმონ თამარაშვილი
* 05.11,1951 – ვალე
† 14.06.2012 – ვალე

სერგო არუთიანიანი
* 30.11.1947 – ვალე
† 05.06.2012 – ვალე

ანტონ გიქოშვილი
* 05.08.1937 – უდე
† 31.05. 2012 – უდე

ნინა თათენაშვილი–მანველიშვილისა
* 02.10.1931 – არალი
† 17.06.2012 – ვალე

სიმონ მურადაშვილი
* 07.01.1925 – ხიზაბავრა
† 22.06.2012 – ხიზაბავრა

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
ქრისტიანული ოჯახი..... 16
სადაურსა, სად წაიყვან... 17
ეკუმენური გვერდი..... 18
ინფორმაცია..... 20
ახალგაზრდული გვერდი..... 23
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ვიდეოფესტივალი ახალციხეში

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, ბევრს ემახსოვრება, რომ 2011 წელს ქალაქ ახალციხეში ჩატარდა ვიდეოფესტივალი საქართველოს კათოლიკე ეკლესიის სამრევლოების ახალგაზრდებს შორის, თემაზე: „აი, ჩვენი ცხოვრება“, სადაც, ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული გახდა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის სამრევლოს ახალგაზრდების ჯგუფი – „ელიტა“.

თბილისის კათედრალის ახალგაზრდები

ამ თვალსაზრისით, არც 2012 წელი აღმოჩნდა გამონაკლისი. იმავე ქალაქში, იმავე სასტუმროს დარბაზში („ედემი“), ამა წლის 19 მაისს ჩატარდა ვიდეოფესტივალი თემაზე: „აი, ჩვენი ცხოვრება – 2, ანუ ქარი ცვლილებებისა“. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ათმა სამრევლომ. კერძოდ, ახალციხის, ვალეს, არლის, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა, თბილისის საკათედრო ტაძრის, ოზურგეთის, ქუთაისის, ბათუმისა და ჭიათურის სამრევლოებმა.

ფესტივალის ჟიურიში შედიოდნენ საკმაოდ კომპეტენტური და ობიექტური პირები: ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, კინო-ხელოვნებათმცოდნე, ქ-ნი ლელა ბერიძე, ხელოვნებათმცოდნე, ქ-ნი ლალი მარგველაშვილი და ტელე-ოპერატორი, ბ-ნი სერგო ფიდანიანი. ფესტივალის წამყვანი გახლდათ მამა მიშა სურმავა. ფესტივალს ესწრებოდა ას ორმოცდაათი ახალგაზრდა.

ღონისძიება საკმაოდ დაძაბულ და ემოციურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ყველა სამრევლოს თავისებურად ლამაზად ჰქონდა დანახული და გადმოცემული მოცემული თემა. ეს შეხვედრა იყო ულამაზესი ნიშანი ჩვენი ეკლესიის ერთიანობისა და ახალგაზრდების ერთმანეთთან უფრო დაახლოებისა. ვიდეოფესტივალი ასახელებდა ექვს ნომინაციას: პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის გადაეცა საკათედრო ტაძრის მრევლს; საუკეთესო ოპერატორი – ბათუმის სამრევლოს; პრიზი საუკეთესო გაფორმებისათვის მოიპოვა ვალეს სამრევლომ; ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შესრულებისათვის პრიზები გადაეცათ არლის სამრევლოს ახალგაზრდებს.

ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილებით, **ფესტივალის გამარჯვებული გახდა არლის სამრევლო**. ჟიურისაგან ყველა გუნდმა მიიღო დამსახურებული შექებაც და შენიშვნებიც, მომავალში გასათვალისწინებლად.

იყო საზეიმო განწყობა, ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველას ერთნაირად უხაროდა გამარჯვება, ყველას თვალებში ბედნიერების სხივი კრთოდა; იყო ემოციები და იგრძნობოდა ერთმანეთის მიმართ თბილი დამოკიდებულება.

გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ ახალგაზრდულ საბჭოს, მამა კარლოს ხელმძღვანელობით, დიდი მადლობა ჟიურის ამ ლამაზი საჩუქრისათვის, დიდი მადლობა სასტუმრო „ედემში“ მომსახურე ყველა პერსონალს, განსაკუთრებით კი ქ-ნ მარინას შესანიშნავი მასპინძლობისთვის, მადლობა ყველა სამრევლოს მონაწილეობისათვის. ჩვენ, არლის სამრევლოს ახალგაზრდებს, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ მამა მიშა სურმავას, რომელმაც საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა ფილმი. უპირველეს ყოვლისა, მადლობა ღმერთს, რომ ტარდება ასეთი ღონისძიებები. ვიცით, რომ ეს ყველაფერი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სადიდებლად და ეკლესიის სასიკეთოდ. ჩვენ გვჯერა ერთი რამის, რომ გაიმარჯვა მეგობრობამ, სიყვარულმა და სიკეთემ, რაც გადაარჩენს სამყაროს.

დიდი სიყვარულით,
არლის წმიდა იოსების კათოლიკე ეკლესიის ახალგაზრდები

მომლოცველობა ეფესოსა და კაბადოკიაში

საიუბილეო ზეიმი წეროვანში – 16 ივნისი 2012